№ 2877
სამშაბათი,
2 აგვისტო.

ცნობის ფურცელი

№ 2877
სამშაბათი,
2 აგვისტო.

[illegible] ნომრის: [illegible] თვეში დამატებით—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა მოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფული გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ განდეროლი ან მიუწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

მეუღლე ბარბარე ბერიძისა შვილებითურთ და ძმა ზაქარია გრიგორის ძე ბერიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას

დავით გრიგორის ძის ბერიძისას.

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზედ, დაკრძალვა ოთხშაბათს 3 აგვისტოს. გამოსვენება ამტუნის ქუჩ. საკუთარი სახ. № 43, ნიკოლოზის ეკკლესიაში და იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (1—1)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა

აჰით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლ. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთის

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჰყა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **ამაზე სჯობი ფასები დაინიშნოს, რასაც აქამდე ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—71)

გაღმა რესტორანი ბაღით
„კავკაზი"
(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს სიმფონიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადის. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.

რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე.
(15—244—7).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი 5-დან—8 საათამდე. (80—6.—8)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზის (№ 82) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—9. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
30 ივლისი.

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. იუწყებიან, რომ ვიტტე იაპონელების ყველა პირობებს მიიღებს ორის გარდა: ის არაა თანახმა სახალინის დათმობისა და სამხედრო ხარჯის ანაზღაურებაზეო.

პარიზი, 30 ივლისი. საფრანგეთის მთავრობას ოფიციოზად აუწყეს იაპონელების პირობები. საფრანგეთის დიპლომატიური წრეები იმ აზრის არიან, რომ იაპონიის მოთხოვნების მიღება შეუძლია რუსეთისთვისო. ეშინიანთ, ვაი თუ საერთაშორისო საკითხი დაიბადოსო.

პორტ-სმუტი, 29 ივლისი. ვიტტემ აცნობა კომურას, რუსების პასუხი მზად არისო. ხვალ კონფერენციის სხდომეზე განახლდება. ვიტტეს პასუხს კონტრ-წინადადების ხასიათი ექმნება. აქ ისეთი აზრია გამეფებული, რომ იაპონიის მოთხოვნების მიღება შეუძლებელიაო.

ნიუ-კასტლი, 29 ივლისი. აქ ჰფიქრობენ, რომ რუსეთი არ დაეთანხმება სახალინის დათმობას, კონტრიბუციის გადახდას და იაპონიის პროტექტორატს კორეაში, თუ იაპონია სიტყვას არ დასდებს, რომ რუსეთ-კორეის საზღვარზე არ ააგებს სიმაგრეებსო. რუსეთი უარზეა იაპონიას დაუთმოს რომელიმე ნაწილი მანჯურიის რკინის გზისა, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უკვე [illegible] ჯარს. იაპონიის მოთხოვნებში არაა შეტანილი ვლადივოსტოკისთვის რაღის აყრა, ციმბირის სანაპიროს დათმობანა და რაიმე ამის მაგვარი პირობები.

პორტ-სმუტი, 30 ივლისი. ვიტტემ უთხრა ერთს გერმანიის კორესპონდენტს: „ხვალ ვუპასუხებ იაპონელებს. იაპონიის პირობების შესახებ ვსდუმ, თანახმად კომურასთვის მიცემულ სიტყვისა. მოთხოვნები ნებას გვაძლევენ განვაგრძოთ მოლაპარაკებაო. ვიტტემ მტკიცა იაპონელები 30 ივლისის სხდომაზე განზრახვა აქვს განუმარტოს იაპონელებს, რომ ისინი სწორედ ვერ აფასებენ რუსეთის მდგომარეობას: ის საბოლოოდ არაა დამარცხებული, ზავს არ თხოულობს სურს, თავის მხრივაც, წარადგინოს ზოგიერთი წინადადებანი.

პარიზი, 30 ივლისი. თანახმად მიღებულ ცნობებისა, რუსეთი არ ეთანხმება იაპონიისთვის ნეიტრალურ წყლებში მდგომ სამხედრო გემის გადაცემას, არაა თანახმა აგრეთვე, შეზღუდოს თვისი აღმოსავლეთ-აზიის ფლოტი და დაუთმოს სახალინიო. თუ მოლაპარაკება შეწყდა, რაც ძნელი მოსალოდნელია, მაშინ ვიტტეს განზრახვა აქვს საქმე ის მოიყვანოს, რომ იაპონია არ დათანხმა პროფესორ მარტენსის მონაწილეობის კონფერენციაზე. დროებით ზავის საქმე გადაიდო ოიამასა და ლინევიჩის მოხსენების მოსვლამდე.

1 აგვისტო.

პორტ-სმუტი, 31 ივლისი. კონფერენციის სხდომებს ხვალ განახლდება დილის სამ საათზე. ეს ცნობა გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ზავის ჩამოგდების იმედი ჯერ არ უნდა დავკარგოთ ეტყობა, იაპონელებმა გამოსცვალეს ზოგიერთი პირობები და სჯობიანის ნიადაგი იშოვნეს. მდგომარეობას თითქო კარგი პირი უჩანს.

ბელგრადი, 30 ივლისი. მთავრობამ სამსახურიდან დათხოვის ქაღალდი შეიტანა, რადგანაც, როგორც ჰფიქრობს, ახალ არჩევნების შემდეგ მისი მისია გათავებული იქნება.

ნოვო-ჩერკასკი. აღარ გვმართებს შიშიანობა, რომ დონზე ხოლერა გაჩნდება. სასანიტარო კომისიები იხურება.

სარატოვი. გაზეთ „რუს. სლოვო"-ს ცნობა, ვითომც ხვალში ნაცემი ექიმი შემდეგ მომკვდარიყოს შემდეგ ცემისა, ბადრიშევის საერობო სამართველო დაჭერილა და აღარ მუშაობს.

მინსკი. საქალაქო საქმეების საგუბერნიო საკრებულომ მოწყობა გაუქმება გუბერნიის ქალაქების საკრებულოს ხმოსან-ებრაელების ადგილები არჩეულ კანდიდატებს გადაეცეს.

ბელგრადი. მთავრობის სთქვა მთავრობის სამსახურიდან გასვლა. კაბინეტს ისევ სტოიანოვიჩი მეთაურობს. წევრები ძველებია.

31 ივლისი.

პეტერბურგი. შინაგან-საქმეთა სამინისტროდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.—გაზეთების ცნობით, ბულიგინის პროექტი იმ სახით მიიღო, როგორც მინისტრთა საბჭომ შეადგინა. [illegible] პროექტში [illegible] დარჩა მხოლოდ საარჩევნო ცენზისა, სათათბიროს დამოუკიდებლობისა, სეკრეტერების და საქმეების მიმდინარეობის წეს-რიგის საკითხები. როგორც ვიცით, ამ საკითხების შესახებ რამდენიმე წინადადება იყო შეტანილი, ამას გარდა წინადადებას იძლეოდნენ აგრეთვე, დადგენილი ყოფილიყო განსაკუთრებული შემცირება და მინიმუმი პროვინციალურ ქალაქებისთვის, გარდა დიდებისა, როგორიც არიან ვარშავა, ადესა, კიევი და სხ. სათათბიროს დამოუკიდებლობის და სეკრეტერების საკითხის შესახებ წინადადება იყო შეტანილი—მათი არჩევა სათათბიროს მიენდოს და ეს არჩევანი საბოლოოდ ჩაითვალოს და არავის არ წარუდგინოს დასამტკიცებლად. ბოლოს, მესამე საკითხის შესახებ, აზრი იყო შემოტანილი, რომ წარედგინოს უმაღლესად დასამტკიცებლად მხოლოდ სათათბიროს უმეტესობის აზრი, როგორც აზრი ხალხის წარმომადგენლებისა. ეს სამი საკითხი არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი, რამაც დააგვიანა პროექტის გამოცხადება. იგი საბოლოოდ მზად იქნება არა უგვიანეს მომავალ კვირისა. პროექტი გამოქვეყნებული იქნება აგვისტოს პირველ ნახევარში.

1 აგვისტო

ნიცცა, 31 ივლისი. 1 ოქტომბერს ნიცცაში გაიხსნება რუსული გიმნაზია კანსტანტინის ხელმძღვანელობით, რომელიც 30 წელი იყო მოსკოვში რეალურის და ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლებში მასწავლებლად.

ლისკოვო. ლისკოვოში დიდი ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა 60 სახლ-კარამდე და სასულიერო სასწავლებელი საეკლესიოთურთ. ზარალი 200 ათას მანეთამდეა.

კრემენჩუგი. გაჩნდა დიდი ცეცხლი, რამაც მოსპო რამდენიმე სახლ-კარი და აურებელი ქონება გაანადგურა. ზარალი 100 ათასს აღემატება. დაზარალდა ბევრი ღარიბ-ღატაკი.

მიტავა. გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, 500 მანეთით იქნება დაჯარიმებული, ვინც ადამიანის კარებს არ დაკეტავს საღამოს ცხრა საათიდანაო.

ბორისოგლებსკი. 28 ივლისს ბორისოგლებსკის განაპირა უბანში 216 სახლი დაიწვა. საერთო ზარალი ას ათას მანეთს აღემატება.

მოსკოვი, 30 ივლისი. შესდგა მეორე საგანგებო კრება ქალაქის მუშებისა. საჭიროებათა შესახებ სჯა-ბაასის დროს, კრებამ დაამტკიცა თავისი დადგენილება, რომ მინიმუმი ჯამაგირებისა უნდა იყოს 25 მ. თვეში; მუშებმა განაცხადეს, რომ თუ ინჟინრებს 300 მ. შეუმცირებთ თვეში ჯამაგირებს, იმ შემთხვევაში თანხა გაგვიხსნებათ ჩვენის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაო. კრებამ განიხილა აგრეთვე მუშების ორი სახოგარი მათის დათხოვნის შესახებ და აგრეთვე საკითხი სამუშაო დროის რაოდენობის შესახებ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
30 ივლისი

სიტიაზა, 29 ივლისი. 22 ივლისს გამოცხადებულ დეპეშის გამო, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ პირველ არმიის უფროსი შეწირულ ფულის ნაწილს ფეხსა და ხელმოჰრილ მეომრებს აძლევს შემწეობადაო, კუროპატკინი გვთხოვს, შემდეგი ცნობები დაუმატოთ ხსენებულ დეპეშას. იმის განკარგულებაში იყო 216 ათას მანეთამდე, რომელიც შეიძლებოდა ამ საქმეზე დახარჯულიყო, შემწირველთა სურვილის დაურღვევლად. ამ სუმიდან შემწეობა დაენიშნა ორ აფიცერს, ერთ ზაურიად-პრაპორშჩიკს, ერთ მოწყალების დას და 191 სალდათს, სულ 131,900 მან. დარჩა 83,100 მანეთამდე. შემწეობა ეძლევათ იმის და მიხედვით, თუ რამდენად სერიოზულადაა დაშავებული მეომარი და რამდენად მოჰკლებია მუშაობის უნარი. ამ მხრივ აფიცრები და სალდათები ექვს კატეგორიადაა გაყოფილი. პირველ კატეგორიას 200 მან. ენიშნება შემწეობა, მეორე კატეგორიას—300 მან., მესამეს—400 მ., მეოთხეს—500 მ., მეხუთეს—800 მ. და მეექვსეს—1,000 მ. ზაურიად-პრაპორშჩიკებს სამჯერ მეტი ეძლევათ და აფიცრებს ხუთჯერ მეტი, ვიდრე იმავ კატეგორიის სალდათებს. ამას იქით შემწეობის დანიშვნა საშუალების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. ვისაც შემწეობა არ მიუღია, თხოვნა უნდა მისცეს იმ კორპუსის უფროსებს, სადაც ფეხ ან ხელ მოჰრილი მსახურებდა. იმ პირთა სია, რომელთაც შემწეობა დაენიშნა, იმის აღნიშვნით, თუ რამდენი მიეცათ, აგრეთვე ანგარიში ფულის შემოსავალ-გასავლისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. ამ საქმის მთელი წარმოება პირველ არმიის მორიგე გენერლის ხელში იქნება. პირველ არმიის შტაბის უფროსი ევერტი.

პორტ-სმუტი. დილის ხანმოკლე სხდომაზე, რომელიც 10 ს. 40 წ. დასრულდა, რუსის რწმუნებულებმა საპასუხო ნოტა ჩააბარეს იაპონელებს. იაპონიის რწმუნებულნი ცალკე ოთახში წავიდნენ ტოკიოში დეპეშის გასაგზავნად და პასუხზე მოსალაპარაკებლად. შემდეგი სხდომა ან დღეს მოხდება 3 საათზე, ან ხვალ.

ლონდონი, 30 ივლისი. აქ საეჭვოდ სთვლიან, რომ იაპონელებს, რუსეთის ფლოტის რიცხვის შეზღუდვა და ციმბირის ტერიტორიალურ წყლებში თევზის უფლება მოეთხოვოთ. არა სჯერათ აგრეთვე, რომ იაპონიას რკინის გზის დათმობა მოეთხოვოს. იაპონელები, ალბად, თხოულობენ, რომ ეს რკინის გზა ჩინეთს გადაეცეს. სახალინის მოთხოვნას იმით ჰხსნიან, რომ 30 წლის წინად ეს კუნძული იაპონიისა იყო და ეხლა ხელ-ახლად დაიპყრო.

ტოკიო, 30 ივლისი, პორტ-არტურში რუსის კრეისერი „პალადა" ამოიღეს.

პორტ სმუტი. რუსეთის პასუხს დღეს დილით ჩააბარებენ კომურას. სახალინის დათმობასა და სამხედრო საზღაურის გადახდაზე, ალბად, უარს ეტყვიან, დანარჩენ მუხლებს მიიღებენ განსასჯელად, ზოგიერთს პირობით. პასუხი გრძელია, შიგ ჩამოთვლილია, თუ რა პირობით შეიძლება ზოგიერთ მუხლის განხილვა და საბუთები, რომლის ძალითაც უარ-ჰყოფს დანარჩენი მუხლები. ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ვადას მოითხოვენ პასუხის განსახილველად. იაპონიის პარლამენტის წევრმა მოცუმატომ გამოაცხადა, რომ იაპონელები ბეჯითად თხოულობენ სახალინის დათმობასა და კონტრიბუციასო. კომურამ რომ უარი თქვას ამ ორ მოთხოვნილებაზე, ამით იაპონიის ხალხს ააღელვებს

ბერლინი, 30 ივლისი. „ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი ვიტტეს ესაუბრა იაპონიის პირობების შინაარსზე. ვიტტემ გამოუცხადა, კომურას დავპირდი, რომ პირობებს საიდუმლოდ ვავიცავ. კორესპონდენტმა ჰკითხა, როგორ გათავდება მოლაპარაკებაო. ვიტტემ უპასუხა ეს ისეთი ადვილი გადასაწყვეტი როდია, როგორც მაგალითად ადვილია იმას გადაწყვეტა, კარგია ეს და ეს სტაქანი ყავა, თუ არაო.

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. რუსის დელეგატმა კოროსტოვცევმა სთქვა, ზავის პირობა, შეიძლება, დღეს გამოცხადდესო. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ იაპონელები რუსეთის პასუხს დასთანხმდებიანო.

ტოკიო, 30 ივლისი. ადმირალი კატაოკა იუწყება, ფლოტის რაზმი გავგზავნე ქვეითა ჯართან ერთად სამოქმედოდ რუსების წინააღმდეგ, რომლებსაც კორსაკოვსკის აღმოსავლეთით, 30 მილის სიშორეზე, ტბის აღმოსავლეთ სამხრეთი ნაპირი ეჭირათ. 28 ივლისს იაპონიის გემებმა და ხმელეთის ჯარმა ერთბაშად ზარბაზანი დაუშინეს რუსებს. ზარბაზნის სროლამ 2 საათს გასტანა. ამის შემდეგ 123 რუსი დაჰნებდა იაპონელებს.

პორტ-სმუტი, 31 ივლისი (რეიტერი). ნაშუადღევის 5 ს. 40 წ. რწმუნებულნი კიდევ განაგრძობდნენ სხდომას, რომელნიც 3 საათის შემდეგ არ შეწყვეტილა. 5 საათის შემდეგ ვიტტეს სეკრეტარმა დეპეშა გაგზავნა. საღამოს 7 საათზე სხდომა შესწყვიტეს ხვალამდე. გაგრძელდა იმედი, რომ მოლაპარაკებას კარგი შედეგი მოჰყვება. რუსის რწმუნებულთ კოროსტოვცევის საშუალებით განცხადება გამოსცეს რომ იაპონიის რწმუნებულთ რუსეთის პასუხი განიხილეს და ნაშუადღევის 3 საათზე ისევ თათბირი დაიწყო. თათბირის დროს პირობის მუხლები განიხილეს.

ვაშინგტონი, 31 ივლისი. „ნიუ-იორკ-სენ-ფან"-ი ამბობს: „ის ფაქტი, რომ იაპონელები ხარბინ-ვლადივოსტოკის რკინის დათმობას არა თხოულობენ, რითაც რუსეთს შეძლება ეძლევა ჩრდილოეთ მანჯურიაში დამკვიდრდეს და აგრეთვე ის გარემოება, რომ იაპონელებმა სამხედრო საზღაურის რაოდენობა არ აღნიშნეს, შესაძლებელსა ჰხდიან მოლაპარაკების გაგრძელებას.

პორტ-სმუტი, 31 ივლისი. კონფერენციის დილანდელი სხდომა ხან-მოკლე იყო და დილის 10 საათსა და 40 წამზე დასრულდა. ვიტტემ პასუხი ჩააბარა იაპონელებს. სხდომა იმ პირობით გადაიდვა, რომ იაპონელები პასუხს დღეს ნაშუადღევს 3 საათზე, ან ხვალ იმავე დროს ჩააბარებენ ვიტტეს. ამის შემდეგ სატომ ოფიციალური განცხადება გასცა, რომ სხდომა დღეს იქნება მოწვეულიო. რუსების პასუხში იაპონიის პირობა იმ რიგზეა განხილული, რა რიგზედაც იაპონელებმა წარადგინეს. კონტრიბუციისა და ადგილების დათმობის უარყოფა საშის მოსაზრებითაა დასაბუთებული: რუსეთი ომის გამოცხადების პასუხის მგებელი არაა, რუსეთი არაა ძლეული, მართალია დამარცხდა, მაგრამ მოვალეა არაა მაინც ცუდის პირობით შერიგდეს. ომისათვის მოუმზადებლობა ამტკიცებს, რომ რუსეთს ომი არა ჰსურდა. რუსეთი ეხლა-კი მზადაა ომი განაგრძოს, მაგრამ რაკი გულწრფელად ჰსურს ზავი, მხოლოდ საპატიო ზავს დასთანხმდება.

პორტ-სმუტი, 31 ივლისი. ერთად ერთი ბრალდება რუსეთისა შეიძლება მხოლოდ იმისთვის, რომ მან მისცა საბაბი ომისა, რომლისაკენაც მიისწრაფოდა იაპონია და რომლისთვისაც იგი აგერ 10 წელია, ემზადებოდა. ამისთვის პასუხის მგებელიც თვითონ უნდა იყო, და არა რუსეთი. პასუხის მიღების შემდეგ იაპონელებმა განსაცვიფრებლად შეიკავეს თავი და ისე ეჩვენენ, ვითომც სურვილი ჰქონდეთ უმთავრეს პუნქტების დათმობის. აქ ჰფიქრობენ, რომ იაპონიას შეუძლია უარი განაცხადოს ორს მეორე-ხარისხოვან მოთხოვნაზეო. ვიტტეს ძლიერ ზრდილობიანი და გარკვეული პასუხი ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება. ნაშუადღევის 3 ს. განახლდა რუსეთ-იაპონიის ბჭობა. ძლიერ გატაცებით ბაასობენ, მაგრამ საბჭოს ზალაში მომხდარი მოლაპარაკება ვერ იძლევა კარგს იმედს.

სიტიაზა, 31 ივლისი. როგორც ხმაა, იაპონელები ჩრდილოეთ კორეაში გადადიან ვლადივოსტოკის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

პორტ-სმუტი, 31 ივლისი. (რეიტ.) იუწყებიან, რომ იაპონიის პირობების განხილვა დაიწყო არა მთავარ მოთხოვნებიდანაო, ისინი არ შეხებიან კონტრიბუციისა და სახალინის დათმობის საკითხსო. ამ საკითხების განხილვა გადასდეს, რაშიაც საკეთილო მხარეს ხედვენ. გუშინდელ ორივე რჩევას მეგობრული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ დაწვრილებითი ცნობები არ ვიცით, ვიტტე გადაჭრით უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომც მას იაპონელებისთვის დროები ზავი ეთხოვოს.

ბერლინი, 31 ივლისი. წინააღმდეგ რეიტერის სააგენტოს პესიმისტურ ცნობებისა, რომლების ძალით ჩქარა უნდა შეწყდეს მოლაპარაკება, აქ უფრო ოპტიმისტური შეხედულება „ნორდაიტჩე" იმედოვნებს, რომ შეთანხმება მოხდება. სხვა და სხვა პარტიების პრესსა და მათ რიცხვში იაპონელების მოყვარულნიც, ურჩევენ იაპონელებს, ნუ წარუდგენთ რუსებს უზომო მოთხოვნებს და მით უზრუნველ-ჰყავით მიღწეული სარგებლობაა.

მაინის ფრანკფურტი. ბუენოს-აირესში ანარქისტი დაიჭირეს, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტის მოკვლა უნდოდა.

ბათუმი. მოვიდა ცნობა, რომლის ძალითაც ტრაპიზონისა და ანატოლიის სხვა პორტებიდან მგზავრებს ეკრძალებათ სტამბოლისკენ წასვლა ამ განკარგულებას დამოკიდებულება აქვს სულთანის მოკვლის განზრახვასთან.

თეირანი. იუწყებიან, რომ ინგლისელები ბეჯითად მოქმედებენ სპარსეთის ბელუჯისტანის საზღვრებზეო. ეტყობა, რომ მათ განზრახვა აქვთ ხელში ჩაიგდონ საუკეთესო სასტრატეგიო პუნქტები—დუდისი, დუზობი და მირჯავა. ინგლისელებს განზრახვა აქვთ შემოდგომაზე ტელეგრაფი გაიყვანონ ბელუჯისტანში.

იალტა. ნატორ-დაგზე ტურისტებს აჩვენებენ სტალაქტიტის გამოქვაბულს, რომელიც ეხლახან უპოვნიათ მწყემსებს და თავის მცველობის ქვეშ აულია სამთო კლუბს.

მოსკოვი. მოვიდა ახალი გენ.-გუბერნატორი დურნოვო. ლინევიჩმა სამადლობელი წერილი გამოგზავნა საერთოდ საერობო ორგანიზაციის კარგად მოწყობისთვის.

კიევი. დაამტკიცეს პროექტი პოლიტექნიკის საზოგადო საკრებულოსი, სადაც გახსნილი იქნება პოლიტექნიკური სამკითხველო.

პარიზი. ლუბემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა რონის ვადანსში: „არმია არ ივიწყებს თავის ღირსებას და სამშობლოს ინტერესებს და თავის დღეში არ მისცემს თავის თავს ნებას გატაცებულ იქნას ისეთა დოქტრინებით, რომელნიც მთელის ერის გულის წყრომას იწვევს. შეგვიძლია დავმშვიდდეთ, რომ სამშობლო კარგადაა დაცული. თუ საჭიროება მოითხოვს, დროშა დაცული იქნება. შეგვიძლია გითხრათ ეს დარწმუნებით და მტკიცედ. ეს საუკეთესო გარანტიაა, რის შემწეობითაც შეგვიძლია ღირსებით დავიცვათ და შევინარჩუნოთ მშვიდობიანობაო".

ქურნალ-გაზეთებიდან

იაპონელთა აზრი შერიგებაზე. „ეკო დე პარი"-ს აცნობებენ ტოკიოდან: რუს-

ხელმწიფის პასუხმა სამღვდელოების ადრესზე, რომ რუსეთი ცუდს პირობით არ შეჰკრავს ზავსაო, და ვიტტეს სიტყვებმა რუსეთის ძლიერებაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს იაპონიის ხალხზე. ბევრ იაპონელს დიდი ხანია ეჭვი ჰქონდა, რომ რუსეთი გულ-წრფელად არ იქცეოდა. ისინი ჰფიქრობდნენ, რომ რუსეთი კონფერენციას მხოლოდ იაპონიის პირობის გასაგებად და დროებით ზავის ჩამოსაგდებად დასთანხმდა, ან იქმნება ზოგიერთ დიპლომატიურ უპირატესობის შეძენაც უნდოდეს, რომ იაპონიის გამარჯვების ნაყოფი არ დაანებოს. ამ ჟამად აქ ამბობენ, რუსეთი ყოველნაირად ცდილობს თავის დამარცხების მნიშვნელობა დაამციროს და ამით კონფერენციაზე გამარჯვებულ იაპონიასთან თანასწორი უფლება მოიპოვოს. იაპონიის ხალხი დიდის ინტერესით ჰკითხულობს ზავის პირობებს. იაპონელებს, ეტყობა, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ომი განაგრძონ, თუ საზავო პირობა იაპონიის გამარჯვების შესაფერისი არ იქმნება და მტკიცედ არ უზრუნველ-ჰყოფს მშვიდობიანობას შორეულ-აღმოსავლეთში.

რუსეთს თავის თავი დამარცხებულად არ მიაჩნია. ლონდონიდან სწერენ ვენურ ოფიციალურ გაზ. „პოლიტ. კორესპ.“-ს: იაპონია და რუსეთი სულ სხვა და სხვა თვალით უცქერიან საქმესაო. ტოკიოში იმ აზრს ადგანან, რომ იაპონიამ უცილობლად გაიმარჯვა, და როგორც გამარჯვებულს შეუძლიან რუსეთს თავისი პირობები მიაღებინოსო. რუსეთის აზრით-კი, იაპონიამ თუმცა მრავალჯერ გაიმარჯვა, მაინც ხმელეთზე საბოლოოდ არ დაუმარცხებია რუსის ჯარიო. იაპონიის სრულს გამარჯვებაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, რუსეთს რომ მთლად ღონე გამოჰლეოდეს და ლინევიჩის არმია ან სრულიად მოესპოთ, ან დაეტყვევებინათ. ამიტომ იაპონიამ უფრო შეღავათიანი პირობა უნდა დაუდოს რუსეთსაო. („ნ. დ.“).

რუსეთის გამარჯვების იმედი. „სლოვო“-სა სამხედრო მიმომხილველს პოლკოვნიკ გედკესავით სწამს, რომ ამ ჟამად რუსის ჯარი სჯობია იაპონიისას და იმედოვნებს, რომ მომავალ დიდ ბრძოლაში, აგვისტოში, რუსეთის ჯარი გაიმარჯვებსო. „სინ-ოტეჩესტვო“ შეჰნიშნავს: ვერ გაგვიგია, რა საბუთით ამტკიცებს „სლოვო“, რომ იაპონიის რჩეული ჯარი, რომელმაც ლიაოიანთან, პორტ-არტურთან და მუკდენთან გაიმარჯვა აღარ არსებობს წინანდელის სისრულითაო. საიდან ჩანს ესა? მაშ რა იქნა ის ჯარი? ვერც ის გაგვიგია, თუ რა საბუთის ძალით აქვს „სლოვო“-ს აგვისტოს იმედი და რადაა დარწმუნებული, რომ აგვისტოც არ ეგვანება იანვარსა, თებერვალსა, მარტსა, აპრილსა, ივნისსა, ივლისს და სხვა თვეებს,—მით უმეტეს რომ აგვისტოც კარგად ვერა აქვს დაცდილი რუსის ჯარსა და ფლოტს. შარშან ლიაოიანთან რუსის ჯარი სწორედ აგვისტოში დამარცხდა. და ად. კამიმურამაც 1 აგვისტოს დაამარცხა ვლადივოსტოკის ესკადრა. („ო. ნ.“).

იაპონიისა და ჩინეთის მოლაპარაკება ზავზე 1895 წელს. ჩინეთისა და იაპონიისა რწმუნებულთ 1895 წელს სიმონასეკში ისეთივე მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული ზავზე, როგორიც ეხლა პორტ-სმუტში რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ აქვთ გამართული. ჩინეთის მთავარ-რწმუნებულად იყო მეფის მოადგილე გათქმული ლი-ხუნ-ჩანგი, იაპონიის მთავარ რწმუნებულად მაშინდელი პირველი მინისტრი გრაფი იტო (ამ ჟამად საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარეა).

ლიხუნჩანგმა უთხრა იტოს, „უმთავრესად ხანგრძლივ ზავის დამყარებას უნდა ვეცადნეთ, რომ ევროპის თეთრმა რასამ აზიის ყვითელი რასა არ შთანთქასო“. გრაფმა იტომ უპასუხა:

— სრულიად თანავუგრძნობ თქვენს აზრს. ათის წლის წინად ტიანძინში მე და თქვენ მოვილაპარაკეთ იმ რეფორმებზე, რომელიც საჭირო იყო ჩინეთისათვის, მაგრამ წლებმა განვლო და დღემდე ჩინეთში არა გარიგებულა რა რეფორმების სასარგებლოდ. გულწრფელად ვნანობ ამას, რადგან ვხედავ, რომ სწორედ ეგაა თქვენის სახელმწიფოს მარცხის მიზეზი.

ლიხუნჩანგი. მე მაშინვე დავაფასე თქვენის აზრის ჭეშმარიტება და გაკვირვებული ვიყავ, რა მხნედ ასრულებდით რეფორმებს იაპონიაში. საუბედუროდ ჩინეთი შეჯაჭვულია ძველის ჩვეულებით და ძველის სიყვარული საჭირო რეფორმების შემოღებას აბრკოლებს.

იტო. განგება მიუდგომელია, მუდამ სამართლიანად სჯის და ყველას ღირსებისამებრ მიუწყავს. ჩინეთს ცოტა რამ მეცადინეობა სჭიროდა, რომ ძლიერი გამხდარიყო, მაგრამ თქვენ არ ეცადენით. უმთავრესი ისაა, რომ გულწრფელი სურვილი იყოს რეფორმების შემოღებისა. თქვენ ისე უნდა მოაწყოთ თქვენი მმართველობა, რომ თითონ ხალხს შეეძლოს თავის ბედის მართვა. მაშინ განგებაც ხელს არ აიღებს თქვენზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ რწმუნებულთ ხელ-ახლად დაიწყეს ჩინეთის რეფორმებზე ლაპარაკი:

იტო. ათის წლის წინად, ცენზორების მოსპობა გირჩიეთ; თქვენ მიპასუხეთ, ეგ ძნელი ასასრულებელია, რადგან ცენზორები ჯერ კიდევ ხანის დინასტიის დროს იყო დაწესებულიო (ქრისტეს შობის ორის საუკუნით წინ). მაშინვე მოგიგეთ, რომ რადგან თქვენ ცენზორებს, მომეტებულ ნაწილად, თანამედროვე მოთხოვნილება არ ესმით, ამიტომ ისინი მხოლოდ ხელს უშლიან სახელმწიფოს შესაფერის მმართველობას-მეთქი. თქვენი მთავრობა, ჩვენსავით, მნიშვნელოვან და პასუხ საგებ თანამდებობაზე ევროპის კულტურის მიმდევარ ახალგაზდა და განათლებულ კაცებს უნდა ჰნიშნავდეს, თუ კეთილი გსურთ თქვენის სახელმწიფოსათვის. ყველა დაძველებული წესი უნდა მოსპოთ თქვენს მმართველობაში. („რ.“).

„სლოვო“ შეჰნიშნავს: „შესაძლებელია, რუსეთის რწმუნებულმა კიტტემაც მოისმინოს ამნაირი მოსაზრება იაპონელ დიპლომატებისაგანაო.

ოფიციალურის ნოტა

ივნისის დასასრულ პოლიციამ შეამჩნია, რომ მის უდიდებულესობის ნამესტნიკის სასახლესთან ვიღაც საეჭვო პირები ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს უთვალთვალებდნენ სასახლეს და განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდნენ სასახლეში მოსულ სამსახურის პირთ.

დაწესებულმა საპოლიციო ზედამხედველობამ აღმოაჩინა, რომ იმ პირთ ურთიერთობა აქვთ ბევრ სხვა პირებთან, რომელნიც წინადაც ცნობილნი იყვნენ როგორც არა კეთილსაიმედო პოლიტიკური მოღვაწენი. 28 ივლისს ერთ-ერთმა იმ საეჭვო პირთაგან შეიძინა მიშჩენკოს ფოტოგრაფიაში სურათი იმ პირთა, რომელნიც ერობის შემოღების შესახებ იყვნენ მოწვეულნი ნამესტნიკის საბჭოში. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის პირნი, რომელნიც სასახლესთან უგდებდნენ ყურს მოხელე პირთ, სასტუმრო „გრანდ ოტელ“-ში იკრიბებოდნენ ძალიან ფრთხილად; უკანასკნელ დღეებში შეამჩნიეს, რომ იმ პირთ სასტუმროში რაღაც მძიმე ნივთები მიაქვთ. სასტუმროში პოლიციამ შეიტყო, რომ ეს პირნი იკრიბებიან 28 №-ში, სადაც სცხოვრობდა ერთი ახალგაზდა ქართველი, რომელიც წინად ამავე სასტუმროს 30 ნომერში იყო ბინად; ამ ქართველის ცხოვრება და საქციელი პოლიციის ყურადღებას იწვევდა.

ამ გარემოების გამო გადაწყდა შემჩნეულ პირთა დატუსაღება. 31 ივლისს, ნაშუადღევს $12^{1}/_{2}$ საათზე, სასტუმრო „გრანდ-ოტელ“-ში მივიდნენ პოლიციელნი იმ პირთა დასაჭერად და უეცრად შევიდნენ მე-28 №-ში. აქ პოლიციას დახვდა ოთხი კაცი, რომელთაც განიზრახეს წინააღმდეგობის გაწევა და უნდოდათ ხელში აეღოთ მაგიდაზე დადებული რევოლვერი „ბრაუნინგის“ სისტემისა. იმავე დროს ერთი მივარდა ბუხარს, სადაც შემდეგ აღმოჩნდა დატენილი ყუმბარები. დაჭერილთ ვერაფერი მოახერხეს, რადგან პოლიციელები თვალყურს ადევნებდნენ და უშლიდნენ; ერთმა პოლიციელმა ერთი დაჭერილთაგანი კიდეც დასჭრა ხმლით თავში, როცა ის წინააღმდეგობას უწევდა.

როცა გამომძიებელნი და ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი დ. ს. ს. ალექსანდროვსკი-დოლნიკი მივიდნენ სასტუმროში, გაჩხრიკეს № 28, რომლის ბუხარშიაც აღმოაჩინეს 7 ყუმბარა ეგრედ წოდებულის მაკედონიის ტიპისა, დიდი და შუათანა. ამ ყუმბარებიდან 2 უკვე მზად იყო სასროლად: აღმოჩნდა აგრეთვე დინამიტი და ყუმბარის გასაკეთებელი სხვა მასალა. აქვე იპოვნეს ნამესტნიკისა და მის თანაშემწის კავკასიაში პოლიციის გამგის სურათები, როგორც ჩანს ამოჭრილი საერთო დიდ სურათიდან; იპოვნეს აგრეთვე დადგენილება სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის ტფილისის კომიტეტისა, რომ გენ.-მაიორი შირინკინი სიკვდილით უნდა იქმნას დასჯილიო.

დაჭერილ ბოროტ-მოქმედთ წარმოადგინეს პასპორტები, საიდანაც ჩანს, რომ ისინი არიან: 1) დავით კაჩაური, 2) შიო პავლიაშვილი, 3) კასპარ კაჩაროვი და 4) მიხეილ პეტროვი. ყველანი დააპატიმრეს და სწარმოებს გამოძიება სისხლის სამართლის დებულების მე-1035 მუხლის თანახმად.

ახალი ამბავი

◆ **კახეთში გლეხთა მოძრაობის** დასამშვიდებლად გაგზავნილი გინერალი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე უკვე დაბრუნდა ტფილისს.

◆ დღეს 2 აგვისტოს, **ტფილისში ჩამოვა საქართველოს ეგზარხოსად** დანიშნული ნიკოლოოზი.

◆ კვირას, 31 ივლისს ბათუმიდან **ჩამოვიდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავ. ორბელიანი.**

◆ **ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელნი** საქართველოს ახალს ეგზარხოსს ნიკოლოოზს გადასცემენ ადრესს, რომელშიაც აწერილი იქნება საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა და გადაწყვეტილება სამღვდელოებისა ამ მდგომარეობის გამოუმჯობესებელ საშუალებათა შესახებ.

◆ საქართველოს საეგზარხოსოს **სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურედ,** როგორც „ტიფ. ლ.“-ს გაუგია, ინიშნება ტფ. სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ილია ფერაძე.

◆ როგორც ვიცით, **გორისა და დუშეთის მაზრები გენერალს თავ. ამილახვარს ჩაბარდა.** თავ. ამილახვარს გორში ექნება საკუთარი კანცელარია, რომლის გამგედაც დაინიშნა ნამესტნიკის კანცელარიის საქმის-მწარმოებელი როვნიაკოვი.

◆ როგორც ტფილისიდან „რუს. სლ.“-ს ატყობინებენ, ნამესტნიკის განკარგულებით **ერევანში იგზავნება ყაზახ-რუსთა ოთხი სოტნა.**

◆ ახალქალაქის მაზრაში **მცხოვრებმა დუხობორებმა** შუამდგომლობა აღძრეს, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევისთვის განცალკევებულ იქმნენ ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან. ნამესტნიკის კანცელარიამ ამ დღეებში შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. ამნაირი შუამდგომლობა აღძრეს სიღნაღის მაზრის რუს და მალოკნის მცხოვრებლებმაც.

◆ „ჩერ. ვ.“-დან გადმობეჭდილი გვქონდა, რომ შემოდგომიდან **მანთაშოვის ქარხანა ბათუმში მუშაობას განაახლებსო.** როგორც იგივე გაზეთი სწერს, ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. მანთაშოვს საბოლოოდ გადაუწყვეტია ქარხანა გადაიტანოს ეგვიპტეს ქალაქ ალექსანდრიაში. ბათუმიდან უკვე გაუგზავნიათ ზოგიერთი მანქანები.

◆ ბათუმში, 27 ივლისს, დონდუკოვ-კორსაკოვისა და კავკავის ქუჩების კუთხეში ვიღაც კაცს **ყუმბარა უსროლია**, მაგრამ არავინ დაშავებულა. („ჩ. ვ.“).

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა მოურავის მოადგილეს თავ. ჩერქეზიშვილს, შეადგინოს სია ქალაქის იმ მოსამსახურეთა, რომელთათვისაც საჭიროა **იარაღი**. ამათ უდროვო-დროს უხდებათ ხოლმე სამსახურის ასრულება.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა საჩივარი აღიძრას საინჟინერო დისტანციის წინააღმდეგ იმ ადგილის ჩამოსართმევად, რომელიც **სამხედრო უწყებას მიუთვისებია** ნავთლუღში და სახლი აუშენებია.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ამიერ-კავკასიის რკინის გზა შეუდგა სადგურის გაფართოებას, რისთვისაც შეისყიდა ადგილები. ტფილისის მცხოვრებ ტერ-აკოფოვისას მიუყიდნია 5300 ოთხ. კვ. საჟენი, 10 მან. თითო საჟენი ანუ სულ 53,000 მანეთად. ქალაქის გამგეობას წევრმა ენფიანჯიანცმა აცნობა რომ ტერ-აკოფოვისას ქალაქის საკუთარი მიწა მიუთვისებია და გაუყიდია. რადგან გამოირკვა, რომ მიწა მართლა ქალაქისაა, გამგეობამ დაადგინა, აცნობოს ამბავი რკინის გზას.

◆ რედაქციამ მიიღო ახალწიგნი „რჩეული სიტყვები“, წიგნი მეოთხე, სხვა და სხვა წიგნიდან გამოკრებული მ. შ—ს მიერ; გამომცემი რ. ლეჟავასი.

◆ საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის მართველი ტრეიდინი პეტერბურგიდან დაბრუნდა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ, 1 აგვისტოს, გასცა 10,000 მან. ობლიგაცია მესამე სესხისა, 9 ას მანეთიანი, ხოლო 10 ას მანეთიანი.

◆ კვირას, 31 ივლისს, არ შესდგა კრება ქართულ წარმოდგენების მომწყობ (1904 წლის) ამხანაგობისა. კრება დაიდო შემდეგ კვირისათვის.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაზეთების საშუალებით გამოიწვიოს ის პირნი რომელნიც მოისურვებენ სადეზინფექციო კამერის გამგის თანამდებობის მიღებას [illegible] ექიმ რაზმატის ნაცვლად. გამგეს ჯამაგირი ექნება 1620 მან. და ბინა. სურვილთ თხოვნები გამგეობას უნდა წარუდგინონ 15 აგვისტომდე.

◆ გორის მომრიგებელ მოსამართლის მდივანი სიმონ კანდელაკი პასუხის გებაში იყო მიცემული. ჰბრალდებოდა თხოვნილთაგან ფულის გამოტყუება და ქრთამის აღება. ეს საქმე სასამართლოს სესიამ 25 ივლისს განიხილა და კანდელაკი გაამართლა.

◆ 26 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას გორში უნდა განეხილა საქმე გლეხის ბოსიკაშვილისა, რომელსაც ორმატარა ქალის მოკვლა ჰბრალდება. საქმის განხილვა სასამართლომ სხვა დროისათვის გადასდო, რადგან მოწმენი არ გამოცხადნენ.

◆ აბას-აბათის მოედანზე 30 ივლისს არგუ სკის სახლში წაჩხუბებულან ილია კოქიაშვილ ვლადიმერ აბესაძე. ამ უკანასკნელს კოქიაშ სასიკვდილოდ დაუჭრია მუცელში.

◆ ტფილისის მეორე გილდის ვაჭრის გაბ ბუდაგოვის მაღაზიაში 31 ივლისს ღამით შეპარ ვიღაც ქურდები და მოუპარავთ ფული 450 და ნივთი 150 მანეთისა.

შეცდომის გასწორება. კვირის ფელე ნის მეცხრე სვეტში შეცდომით დაბეჭდ „...არ არის ცენტრალიზმის მომხრე და ა ნომიის მომხრე“. უნდა იყოს: „რომე დიდველი გინდათ, რომელიც ჯაშუში, რესი ბიუროკრატი, რეაქციონერი არ არს ცენტრალიზმის მომხრე და ავტონომიის წი ღმდეგი“.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ ეს ოთხი დღეა, ქუთაისის მეეტლე გაფიცულნი არიან და სამუშაოდ აღარ მოდიან. მათ მედროგეები და მებოჰკეებ მიჰყვნენ, თუმცა უკანასკნელთაგან ბევ მუშაობს, რადგან პოლიცია ყაზახ-რუსე დახმარებით ძალას ატანს და აბმევინ ცხენებს. ამ ჟამად მათ ქალაქისათვის არა თარი მოთხოვნა არ წარუდგენიათ, მაგრ რამდენადაც ვიცით, მეეტლეები თხოულ ბენ, რომ ან განთავისუფლებულ იქმ ხიდის ბაჟისაგან, ან მოესპოთ ნიხრი. ბოჰკეები და მედროგეები კი, რომელთ თვისაც ნიხრი არ არსებობს, თხოულობ ცხენებზე დაწესებულ გადასახადის თითქ სულ მოსპობას. ამ საქმის გადაწყვეტა ქალ ქის საბჭოზეა დამოკიდებული, უკანასკ ლის სხდომა კი სექტემბრის პირველ რი ხვებამდის არ მოხდება.

◆ ამ დღეებში მერესტორანეებს, მიკ ტნებსა და მეღვინეებს კრება ჰქონდათ იმ გადასაწყვეტად, გაიღოს თუ არა კვირ უქმე დღეებში სავაჭროები. კრება ორ-ს საათს გაგრძელდა. ესენი თხოულობდნ სავაჭროების მთელის დღით გაღებას, მათ მოსამსახურეები კი მთელის დღით დაკე ვას. კრებაზე არავითარი წესი არ იყო ყველა ერთად ლაპარაკობდა და დარბაზ ისეთი ხმაურობა იდგა, რომ ყურთა სმენ აღარ იყო. ხანგრძლივ ყვირილის შემდ კრებამ მოისურვა დახურული კენჭის ყრი გადაწყვეტა საქმისა. კენჭის ყრაში მხო ლოდ უფროსები იღებდნენ მონაწილეობას, მოსამსახურეები კი არა; ამიტომ, როგორ მოსალოდნელი იყო, კრებამ თითქმის ერთ ხმად გადასწყვიტა, რომ მთელის დღით იქმნეს ვაჭრობა კვირა-უქმე დღეებში სამიკიტნო რესტორანებსა და ღვინის საწყობებში.

ქუთაისის სასკოლო კომისიის საყურადღებოდ.

რადგანაც საქმეს არ ეგვიანება, ამიტომ ვისწრაფი დაუყონებლივ განვუზიარო მოკლედ მაინც ჩემი მოსაზრება იმ სასკოლო კომისიას, რომელიც ამოურჩევიათ ქუთაისში სახალხო სკოლების პროგრამის შესამუშავებლად, რაზედაც ამბავი მოგვიტანეს დღეს ქართულმა გაზეთებმა.

იმ კრებაზე, რომელსაც ეს კომისია ამოურჩევია, გამოუთქვამთ ერთი მეტად სახიფათო აზრი. სახალხო სკოლას ისეთი პროგრამა უნდა მივცეთ, რომ მასში კურს დამთავრებულებს ადვილად შეეძლოთ გიმნაზიებში შესვლაო. თუ ეს აზრი განხორციელდა, დამოუკიდებელი სახალხო სკოლა სამუდამოდ დაიმარხება და მისს ადგილს დაიჭერს დამოკიდებული მოსამზადებელი კლასი სოფლებსა და დაბებში. განა ეს მავნებელი არ იქნება? ჰაი, ჰაი, რომ იქნება, მთიულებისა არ იყოს.

ფელეტონი

საადგილ-მამულო საკითხი და თვით-მართველობა

(დასასრული)

ყველაზე უფრო დიდი, ფას-დაუდებელი უპირატესობა ამხანაგობისა არის ახალ-თაობის რიგიანი აღზრდა. დღეს ბავშვს მზრუნველი ცოტა ჰყავს, გამრყვნელი-კი ბევრი. ყველას ვინგინდარად მიაჩნია სხვისი შვილი, თვითეული სცდილობს, მხოლოდ თავისი შვილი აღზარდოს. აი სწორედ აქ არის ძირი ახლანდელი აღზრდის უკუღმართობისა. ერთ კაცს არ შეუძლია თავის შვილების აღზრდა. ყოველი ბავშვი იზრდება საზოგადოებაში და, მაშასადამე, საზოგადოების ზედ-გავლენის ქვეშ. და რადგან ახლანდელ საზოგადოებაში მცირე რიცხვია ისეთის კაცებისა, რომელნიც სხვის შვილების აღზრდისათვის ზრუნავდნენ, ახალთაობა ირყვნება ყოველ მხრივ. ამას გარდა, თვით გარემოება, წრე, რომელშიაც სცხოვრობს ახალთაობა, ხელს უწყობს მის გარყვნას და გათახსირებას. დღეს საზოგადოება ორ დასად არის გაყოფილი, მდიდრებად და ღარიბებად. როგორც მოჭარბებული სიმდიდრე, ისე უკიდურესი სიღარიბე არის მიზეზი საზოგადოდ ყოველ-გვარ უკუღმართობისა და კერძოდ ახალთაობის გარყვნა-გაფუჭებისა.

ამხანაგობაში-კი ყოველი წევრი თავის შვილებისა და სხვის შვილების აღზრდის საქმეში თანასწორად იქმნება დაინტერესებული და მოწადინებული. და, რამდენადაც მეტია შეერთებული ძალა ერთის კაცის ძალაზე, იმდენად უკეთესი იქნება მაშინდელი აღზრდა ახლანდელზე. ამგვარად, უდიდესი მიზანი კაცობრიობისა,—ახალ-თაობის რიგიანი აღზრდა,—შეუძლებელი თანამედროვე ინდივიდუალ, კერძო ინტერესთა და მიზანთა სამეფოში, შესაძლებელი იქმნება იმ წეს-წყობილებაში, რომელიც ამხანაგობის საფუძველზე იქნება დამყარებული.

აქ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი დიდი უპირატესობა ამხანაგობისა კერძო მოსახლეობასთან შედარებით. კერძო მოსახლეობამ და საკუთრებამ გაჰყო ქვეყანა ქალაქად და სოფლად; აუარებელი ხალხი შეჰყარა ქალაქად, სოფელი-კი დაატიალიერა და გაღარიბა. მეცნიერება, ხელოვნება, პოლიტიკა, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რითაც ამაყობს თანამედროვე კულტურა, ქალაქში მოთავსდა. სოფელში-კი გამეფდა უმეცრება, სიბნელე, საზოგადო გულ-გრილობა, სიღატაკე. მეორეს მხრით ქალაქებს სულ ჰხუთება, გაფუჭებულის ჰაერით, აკლიათ ცხოველმყოფელ ბუნების სიახლე, აკლიათ, მაშასადამე, ტანისა და სულის სისაღე. ამგვარი განაწილება მოსახლეობისა, ცხადია, უგვანო და უკუღმართია. ამხანაგობა-კი ადვილად აიშორებს თავიდან ამ უკუღმართობას. ყოველ-გვარი ხელოვნება და მეცნიერება ადვილად მოთავსდება სოფლად; ამასთანავე ამხანაგობის წევრნი სრულიადაც არ მოშორდებიან მიწას, ბუნებას, ადამიანის სულის-ჩამდგმელს და აღმზრდელს სულიერად და ხორციელად.

როგორც ზემოდ ვთქვით, მიწა და ყოველივე იარაღი წარმოებისა განუყოფელი, საერთო უნდა იყოს. მაგრამ წმინდა შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც დანიშნული იქმნება შინ მოსახმარებლად, ე. ი. სასმელ-საჭმელი, ტანსაცმელი, სასახლო და სხ., ყველაფერი თანასწორად უნდა იქმნეს განაწილებული წევრთა შორის. არ უნდა იყოს არც მდიდარი, არც ღარიბი. მხოლოდ ამ პირობით არ დაირღვევა ამხანაგობა, იქმნება განმტკიცებული ძმობა და ერთობა. უთანასწორობა იგივე უსამართლობაა და წყაროა დასთა შორის განხეთქილებისა, ერთი კაცი ცალკე უძლურია, ამხანაგობაში-კი ძლიერია, მდიდარი და ბედნიერი. მაშასადამე, ერთის კაცის ღვაწლი ამხანაგობის მიმართ მცირეა, ამხანაგობის ღვაწლი-კი თვითეულ წევრისათვის აღურიცხველია, დაუფასებელია. ვერავინ ვერ იტყვის, ესა და ეს საქმე კერძოდ მე გავაკეთეო, რადგან, ამხანაგობა რომ არ ყოფილიყო, ვერავინ ვერაფერს ვერ გააკეთებდა. ამას გარდა, რომ ვინმე დაჩაგრონ და დაამცირონ. ამგვარ წევრს შრომის ხალისი და ნიჭი დაეკარგება; ეს გარემოება-კი მავნებელი იქმნება ამხანაგობისათვის. ამგვარად თანასწორობა წევრთა სასარგებლო იქმნება არა მარტო უფრო უნიჭო და სუსტ წევრებისათვის, არამედ უფრო ნიჭიერებისათვისაც. შეიძლება იფიქროს ვინმემ, თუ წევრთა შორის თანასწორად იქმნება განაწილებული შემოსავალი, არავინ აღარ იმუშავებს და ტვირთად დაეცემიან კისერზე ბეჯითი, მომუშავე წევრები. შემცდარი აზრია. შრომა ისე საჭიროა კაცის ტანისა და სულის სიმთელისათვის, მაშასადამე, ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც სასმელი და საჭმელი. სიზარმაცე შედეგია ახლანდელ საზოგადო შრომის უკუღმართ განაწილებისა და ცუდის აღზრდისა. ამხანაგობაში თვითეული წევრი იმუშავებს დიდის ხალისით ძალა-დაუტანებლად, ისეც-კი, ვინც გადაჩვეული იყო წინად მუშაობას. ახალ-თაობაში-კი, რიგიანად აღზრდილში, ცხადია, აღარავინ იქნება ზარმაცი. ამას გარდა ავადმყოფთა რიცხვიც ძლიერ შემცირდება აღნიშნულ მიზეზთა გამო.

როგორი უნდა იყოს სიდიდე ამხანაგთა რიცხვისა? რაც უფრო დიდი იქნება ეს რიცხვი, მით უკეთესი იქნება. თუ თითო ამხანაგობა ათი ათას მოსახლეს აღწევს, მაშინ ამხანაგობის საქმე საუკეთესოდ განვითარდება, რადგან ამგვარი ამხანაგობა უფრო ადვილად შეიძლებს შემოიღოს ყოველ-გვარი ტექნიკური და მეცნიერული გაუმჯობესება და გაფართოება, მაშასადამე, შრომის მწარმოებლობა. ბოლოს და ბოლოს დაარსდება კავშირი ამხანაგობათა, რომელსაც, ცხადია, ეს უფრო დიდი ძალა და მნიშვნელობა ექნება.

პირველად-კი ვთქვათ, შეიძლება პატარა ამხანაგობამ დაიწყოს მოქმედება. ორმოცდა ათი მოსახლე რომ შეიკრიბოს, კმარა. ამხანაგობა ისე მშვენივრად მოაწყობს თავის საქმეებს, რომ მეზობლები მალე დაინახავენ მის უპირატესობას და შეიქმნებიან მის წევრებად. მდიდარ მეზობლებსაც აგრეთვე ხელს მისცემს ამხანაგობის წევრად ყოფნა, როგორც ღარიბს, რადგან კერძო საკუთრება თავის დღეში ვერ მიანიჭებს ზოგს მემამულეს ყველა იმ უპირატესობას, რასაც ამხანაგობა. ამგვარად პატარა ამხანაგობა თან-და-თან გაიზრდება, სანამ ბოლოს მყარ საფუძველზე არ დამყარდება.

არავითარი გარეშე პირობა ვერ შეუშლის წევრებს ხელს, ვერ დაარღვევს მათს ამხანაგობას. ვინ დაგვიშლის ერთად ვიმუშაოთ, ერთად გავსწიოთ შრომის უღელი და ძმურად გავინაწილოთ საერთო შრომის ნაყოფი?!

აქ უნდა კვლავ დავუბრუნდეთ საჭირ-ბოროტო საკითხს ავტონომიის შესახებ.

რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამხანაგობას კავშირთან? თვითეული ამხანაგობა სრულიად დამოუკიდებელი, ავტონომიური უნდა იყოს ყველაფერში, რაც შეეხება მხოლოდ ამხანაგობას. ყველაფერი, რის გაკეთებასაც შესძლებს, ამხანაგობამ სხვის დაუკითხავად უნდა გააკეთოს.

ამხანაგობათა კავშირის ხელში იქნება ისეთი საქმეები, რომელნიც კერძო ამხანაგობის ფარგალს გადასცილდებიან, ერთგვარად შეეხებიან, ყველა ამხანაგობათ.

ამხანაგობათა კავშირსაც, ცხადია, თავისი საზღვარი ექნება. ყოველ ერს ექნება ავტონომია. ბოლოს-და-ბოლოს დაარსდება კავშირი, ფედერაცია სხვა-და-სხვა ერებისა და ქვეყნებს შორის.

იხ. „ცნ. ფურც.“, № 2874.

სახალხო სკოლას სოფლის მოზრდი თაობა შეჰყავს, ასე ვთქვათ, გონებრივს სალაროში. ეს სალარო დიდი არ არის; მაგრამ მაინც სალაროა. მოსამზადებელი კლასი კი ბავშვებს სტოვებს სალაროს კარაპანში; მართალია, ეს უკანასკნელი სალარო უფრო დიდია; მაგრამ მასში შესვლას ეღირსება ასს გლეხის შვილში მხოლოდ ერთი. ოთხმოცდა ცხრამეტი პატარა გლეხი კი დარჩება კარაპნის ამარა და, რასაკვირველია, იზარალებს. მაგრამ ეს მეასე ბავშვი კი მოგებაში იქნება? არა მგონია. გიმნაზიები ისეა მოწყობილი, რომ აძლევენ მოსწავლეს არისტოკრატიულს და ბურჟუაზიულს განათლებასა. რად უნდა ამგვარი განათლება ქართველ გლეხობასა? ვინც ფიქრობს, რომ ეს დღეს არის და ხვალ კი გიმნაზიებში დემოკრატიული პროგრამა დამყარდებაო, ის ყურადღებას არ აქცევს არც ისტორიასა და არც დღევანდელ მდგომარეობას რუსეთისას, სადაც თითქმის გამეფებულია რეაქცია და ხულიგანები. ფანტაზირობას არსად ხეირი არ დაუყრია ხალხისათვის და არც ჩვენ დაგვაყრის. ჩვენ სულ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ მთელს ხალხს მივანიჭოთ ნამდვილი დემოკრატიული განათლება და ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახალხო სკოლა, სიდიდე მისი კურსისა, სიფართოვე პროგრამისა და მისი მიმართულება მთლად და სავსებით დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ თვით ხალხის ნებასა და სურვილზე, და არა მასზე, თუ რა ქარი იქროლებს საშუალო სასწავლებლებში, რომელნიც ემსახურებიან მაღალ წოდებათა ინტერესებს და სახელმწიფო ცენტრის პოლიტიკურ მიმართულებასა. მზრუნველი იანოვსკი და სხვა პოლიტიკანებიც იმას ჰქადაგებდნენ, რომ სახალხო სკოლას მოსამზადებელი ხასიათი უნდა ჰქონდესო, და ჰქადაგებდნენ იმ განზრახვით, რომ სახალხო სკოლაში გაემეფებინათ რუსული ენა, რომლის კარგა ცოდნა საჭირო იყო და არის გიმნაზიაში შესასვლელად.

ქუთათურებიც (ზოგიერთნი) ამავე აზრს დასდგომიან, მხოლოდ წინააღმდეგი განზრახვით, სახელდობ იმითი, რომ ქართული ენა გაამეფონ საშუალო სასწავლებლებში, სასამართლოსა და ადმინისტრაციაშიც. მაგრამ ეს ხერხი, ეს ტაქტიკა საშინელს იარაღს აძლევს ხელში ჩვენ წინააღმდეგ რუსეთის ცენტრალისტებს, რომელთა შორის ირიცხებიან არა მარტო იმისთანა რეტროგრადები, როგორიც სუვორინი, გრინგმუტი და კამაროვია, არამედ ბევრი ლიბერალებიც. ამ ტაქტიკას ადვილად შეუძლიან სამარე გაუთხაროს ეროვნულს სკოლას ჩვენში, ქართულს განათლებას, მტერი სიხარულით აღავსოს და მოყვარეს ძიმწარე დაალევინოს. არა, ბატონებო, მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ჩვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე, თორემ შეუძლებლის პოტინი შესაძლებელსაც დაგვაკარგვინებს. დიახ, საჭიროა, ფრიად საჭიროა რეალური პოლიტიკა, რომლის წყალობით დღეს ჩვენ ავიღებთ ერთს პოზიციას, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და ასე დავისაკუთრებთ მთელს ციხე-ქალაქს კეთილდღეობისას. თვით მამაცმა იაპონელებმა პორტ-არტურის ფორტები ერთი ერთმანეთის შემდეგ აიღეს და არა ერთბაშად. ერთბაშად რომ მოენდომებინათ მთელი ამ ციხე-ქალაქის აღება, ჯარსაც გაიჟლეტამდნენ და ციხეც რუსებს შერჩებოდათ დღემდის.

თუ მაღალ სფერაში არ გაამეფებთ ქართულს ენას, არც დაბალს სფერაში გვინდაო, გაიძახის ზოგიერთა ქუთათური. „აი დარდით“, მიუგებენ პოლიტიკანები. დიდს და ძლიერს პოლონეთს არ ვაძლევთ ნებას გაამეფოს თავისი ენა მაღალს სფერაშიო, და პატარა და სუსტს საქართველოს რისთვის უნდა მივცეთო. თქვენი დევიზია: ან ყველაფერი, ან არაფერიო. და რადგანაც ყველაფერს ვერ მოგართმევთ, უნდა დარჩეთ მუნჯური მეთოდის და ლევიცკის კურსის ამარაო. აი რა შედეგი მოჰყვება ზოგიერთების ტაქტიკასა... არა, ბატონებო, ეხლა, ამ წუთში სხვა საგნები უნდა დროებით დავივიწყოთ და შევიმუშაოთ იმისთანა პრაგრამა დამოუკიდებელი სახალხო სკოლისა, რომელსაც შეეძლება დააყენოს განათლების გზაზე არა მხოლოდ ნაწილი ხალხისა, არამედ მთელი ხალხი დიდით-პატარამდინ, ქალით-კაცამდინ.

ჩემი მოსაზრებით, ამ მაღალს მიზანს მიგვაწევინებს შემდეგი ორგანიზაცია სახალხო სკოლებისა: 1) ყველა სოფელში უნდა დაარსდეს იაფ-ფასიანი წერა-კითხვის სკოლა ორის წლის კურსით. ამ პატარა სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს რუსულს ენასა, რადგანაც ამ მცირე ხნის განმავლობაში მისი შესწავლა მცირეოდენადაც-კი ყოვლად შეუძლებელია. უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ქართული წერა-კითხვა, არითმეტიკა და საღმრთო-სჯული. დღეში იქმნება სამი გაკვეთილი: ორი გაკვეთილი დაეთმობა ქართულს წიგნსა და ერთიც ორს დანარჩენს საგანსა, რომელთაგან ოთხი გაკვეთილი კვირაში ერგება არითმეტიკასა და ორიც საღმრთო-სჯულსა. ამ პატარა სკოლაში ექვსი წლის ბავშვები მიიღებიან და როცა კურსს დაასრულებენ, რვა წლისა იქმნებიან. სად უნდა წავიდნენ ეს პატარა კურსოვნიკები?

რამდენიმე სოფელი, ერთმანეთზე დაახლოებული, შუაგულს ადგილს აარსებს საერთო სახალხო სკოლას ოთხის წლის კურსით. ამ სკოლაში მიიღებიან მხოლოდ ისინი, ვისაც წერა-კითხვის სკოლა დაუსრულებია, ან შინად უსწავლიათ ქართული წიგნი. სახალხო სკოლაში ყველა საგნების სწავლება მიმდინარეობს აგრეთვე დედა-ენაზედ; მაგრამ რუსული ენა იწყება პირველივე განყოფილებიდგან, რადგანაც ბავშვებმა ქართული წიგნი უკვე კარგად იციან. დღეში ოთხი გაკვეთილი უნდა იყოს. თითო-თითო გაკვეთილი დაეთმობა ქართულს და რუსულს, დანარჩენი ორი გაკვეთილი მოხმარდება არითმეტიკას, საღმრთოსჯულსა, გეოგრაფიას, ისტორიას, ბუნების მეტყველებას, ჰიგიენას. ამ სკოლებთან დაარსდება უსათუოდ პრაქტიკული განყოფილებანი: სამეურნეო და სახელოსნო. რადგანაც ამ სკოლას პატრონად ეყოლება რამდენიმე სოფელი, ამის გამო ნივთიერი სახსარი საკმარისად ექმნება და კეთილმოწყობილება არ აკლდება. სკოლა მისცემს თავის მოწაფეებს სრულს განათლებას დაბალის ხარისხისას. ამასთან, თუ მოისურვებენ მათგანს ყველას შეეძლება საშუალო სასწავლებლის პირველ კლასში ეგზამენი ადვილად დაიჭირონ, რადგანაც ოთხის წლის განმავლობაში ყოველ დღე ექმნებათ რუსულის გაკვეთილი, რომელიც ორკეცი წარმატებით უნდა შეითვისონ, რადგანაც წინად დასრულებული ექმნებათ პატარა სკოლის კურსი და გონებაც გაძლიერებული საგნების სწავლებით დედა-ენაზე.

რასაკვირველია, ამ სკოლას და მის რაიონში მყოფს წერა-კითხვის სკოლებს გამგებლად ეყოლებათ სამოსწავლო საბჭო, რომლის წევრებს ირჩევს თვითონ ხალხი... რადგანაც ქუთათურმა კომისიამ ზეგ-მაზეგ უნდა წარუდგინოს კრებას თავისი პროგრამა, ამიტომ ავჩქარდი და ამ სიჩქარის გამო სათქმელი მოკლედ მოვსჭერი ამ ჟამად. შემდეგში-კი იმედი მაქვს უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ ამ დიდმნიშვნელოვან ქართულს საგანზე.

იაკობ გოგებაშვილი.

რუსეთის ქრონიკა

სიკვდილით დასჯა „გოროდოვოის“ მკვლელისა. ვარშავის სამხედრო სასამართლოს 24 ივლისს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია 20 წლის მუშის კამაროვსკისთვის, რომელსაც 18 აპრილს მოუკლავს ქუჩის დარაჯი დიმიტრიუკი. („რ. ს.“).

პროფესორები უჯამაგიროდ. კიევის პოლიტეხნიკუმის პროფესორთათვის 20 ივლისს ჯამაგირები სრულად არ მიუციათ და აქის შესახებ ადმინისტრაციას არც არაფერი მიზეზი გამოუცხადებია თურმე. ამავე ინსტიტუტის 26 ლაბორანტს შემდეგ თვეებში სულ უჯამაგიროდ სტოვებენ. („ნ. ვ.“).

აგრარულ მოძრაობის გამოკვლევა. მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დაუდგენია, ყოველმხრივ გამოიკვლიოს ამ ბოლო ხანებში მომხდარი აგრარული მოძრაობანი. ამ განზრახვით ხსენებული საზოგადოება სთხოვს ყველა დაწესებულებას, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და კერძო პირთ დახმარება გაუწიონ და მიაწოდონ როგორც დასტამბული, ისე ხელნაწერი ცნობები და მასალები ამ საგნის შესახებ. („ნ. ჟ.“).

საიდუმლო სტამბა და აკრძალული წიგნები. მოსკოვში ერთ ახლად გაღებულ სამღებროში კალუგის ქუჩაზე უპოვნიათ არა ლეგალურ წიგნების საწყობი და საიდუმლო სტამბის მასალები. („ნ. ჟ.“).

პეტერბურგის ზარაფხანაში მუშები ამ ბოლო დროს ძალიან შესვენებულნი არიან თურმე. სამ დღეში ერთხელ მუშაობენ, რადგან ოქროს ფულის ჭრა შეჩერებულია. 15 ივლისს უკანასკნელად მოუჭრიათ რვა მილიონ მანეთის ვერცხლის ფული და ამითი შეწყვეტილა მუშაობა; ამიერიდან ქაღალდის ფულს გამოსცემენ სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციაში. (რ. ს.).

ყაზახ-რუსთა გამრავლება ხხვა და ხხვა მხარეს. 7-დან 14-ივლისამდე გემებით მისულა: სარატოვში 629 ცხენოსანი ყაზახი; სესტრორეცკში—ერთი რაზმი, და მოსკოვში—ერთი პოლკი, რომელნიც ზოგი ქალაქსა და ზოგი მაზრებში დაბანაკდებიან. (პრ.).

ყველა პრესის წინააღმდეგია. „რუს. დელო“-ს რედაქტორს შარაპოვს ამდღეებში გაუგზავნია ცარიცინის საერობო საბჭოსათვის თავის გაზეთის რამდენიმე ნომერი ორის დამატებით: „თვით-მპყრობელობა“ და „ნიმუში რუსეთის პოლიტიკურ პროგრამისა“. ხსენებულ საბჭოს ეს ნობათი მაშინვე უკან დაუბრუნებია რედაქტორისათვის და შეუთვლია, კვლავ ამგვარი ნაწარმოები აღარ გამოგვიგზავნოთო. („პრ.“).

ნავთსადგურზე მომხდარ არეულობის გარჩევა. 28 ივლისს ლიბავაში წასულა კრონშტადტის სამხედრო-საზღვაო სასამართლოს სესია „იმპერატორ ალექსანდრე III“ ნავთსადგურში მომხდარ არეულობის გამოსაკვლევად. სულ 106 მატროსი მიუციათ სამართალში. საქმის გარჩევას უნდა შეუდგომოდნენ გუშინ 1 აგვისტოს. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები სოკოლოვი და თავ. ერისთავი. („რ. ს.“)

ხულიგანთა მოღვაწეობის გაცნობა. 25 ივლისს კიშინევიდან გამგზავრებულან პარიზისა და ლონდონის გაზეთების კორესპონდენტები. ეს კორესპონდენტები კიშინევში მისულან ხულიგანთა ორგანიზაციისა და იმათ მოღვაწეობის ადგილობრივ გასაცნობად. კორესპონდენტებს, სხვათა შორის, დაუვლით ბელეცის მაზრა და შეუკრეფიათ თავდასხმა-აკლების დაწვრილებითი ცნობები თვით დაზარალებულთაგან. („რ. ხ.“).

დეკანოზი იოანე კრონშტადტელი. პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, შემდგარა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს თურმე ის საიდუმლო მოვლენანი, რომლითაც გარემოცულია კრონშტადტელის მოქმედება. („რ. ს.“).

ყველა ბრალს გაზეთებსა ხდებენ. „იუჟნი კურიერი“-ს რედაქციისათვის შეუჩივლიათ სალდათებს, რომ ჩვენის როტის უფროსმა აგვიკრძალა თქვენის გაზეთის გამოწერა და საზოგადოდ ყველა გაზეთის კითხვა, რადგან სულ ამათგან ხდება ეს „ბუნტი“ და საზოგადოდ, არეულობაო. ეს გაზეთი ძალიან გავრცელებული ყოფილა სალდათებს შორის, რომელნიც საამხანაგოდ იწერენ თურმე. („პრ.“).

ძალ-მომრეობაც ამასა ჰქვიან. ბალაშოვის მაზრაში პოლიციის მოხელეები ძალითი ართმევენ თურმე გლეხებს და კედლებიდან ჰგლეჯენ საერობო გამგეობის მიერ დაგზავნილ დასტამბულ და ნებადართულ უწყებებს მომავალ დეპუტაციების უფლებების შესახებ. („პრ.“).

პოლიციელების მოკვლა და დაჭრა. პრივისლიანის რკინის გზის სედლეცის სადგურზე 16 ივლისს მოჰკლეს ვახმისტრი მიხაილოვსკი. მკვლელები დაიმალნენ.

ლუბნში ქალაქის ბაღში მოჰკლეს ისპრავნიკი სემენოვი. მკვლელი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ.

კიშინევში რევოლვერით მძიმედ დასჭრეს ბოქაული სალოვკინი. ამ დაჭრაში ათ კაცამდე იღებდა მონაწილეობას. დამჭრელნი დაიმალნენ. („რ. ს.“).

მთავრობის საწინააღმდეგო წიგნაკები. 12 ივლისს ვილნოში შეუპყრიათ რკინის გზით გაგზავნილი ტრანსპორტი. როდესაც გაუხსნიათ, შიგ უნახავთ 8,600 წიგნაკი მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსისა. („ს. ო.“)

გადამწერალი მაზეთის რედაქტორად. „უფ. გუბ. ვედ.“ რედაქტორი გუბერნატორს პოლიციის ბოქაულად გადაუყვანია, ხოლო ამ გაზეთის რედაქტორად გადამწერალი ვინმე მაკაროვი დაუყენებია. ამ გადამწერალ-რედაქტორს „კეთილ მოღვაწეობისათვის“ მთავრობის ყურადღება დაუმსახურებია და გუბერნატორისაგან შემდეგის მადლობის ღირსი გამხდარა: „....ვუცხადებ მადლობას საქმის მწარმოებლის დროებით თანამდებობის აღმასრულებელს უჩინო მაკაროვს გაზეთის დროებით რედაქტორის თანამდებობის ასრულებისთვის“. („რ. ვ.“.).

სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია ვარშავის სამხედრო სასამართლოს კრაუზესათვის, რომელიც სამართალში იყო მიცემული სამხედრო კანონის მე-279 მუხლისა და გაძლიერებულ დაცვის წესის მე-18 მუხლის ძალით („რ. ს.“).

ხალდათის გასამართლება. ვილნოს პოლკის სალდათი იოსებ მოჩედლობერი, რომელმაც პოლკის უფროსის პოლკოვნიკის გარციკის მოკვლა განიზრახა, სასამართლოში მისცეს. სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. („რ. ა.“).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 1 აგვისტო. დილით მოსკოვიდან მოვიდა ნაფიცი ვექილი მურავიოვი, რომელიც ხვალ დაიცავს ბრალდებულთ პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებაში.

—საქარიდან მოვიდა გუბერნატორი სტაროსელსკი.

პეტერბურგი. გაზ. „რუს“-მა, აღნიშნა არ ფაქტი შერიგების პირობათა ყოველი მუხლის განხილვისა რუსეთ-იაპონიის წარმომადგენლების მიერ, ამბობს, რომ შერიგებაზე მოლაპარაკება უმჯობესად მიდის და თუმცა რუსეთის წარმომადგენლის პასუხში, გადაწყვეტით უარია გამოცხადებული ზოგიერთი პირობების შესახებ,—იაპონიის წარმომადგენელმა მაინც მოსახერხებლადა სცნო მოლაპარაკების განგრძობა. ეს იმის საბუთია, რომ მოლაპარაკება კეთილად დასრულდება.

სავაჭრო ნავოსნობის უმთავრესი მმართველობა განსაკუთრებულ კომისიებს აარსებს სავაჭრო გემების შესამოწმებლად და გასაშინჯად მიუხედავად იმისა საზღვარ გარეთ არის ნაყიდი თუ რუსეთშია გაკეთებული.

გაზეთების სიტყვით კორპუსთა საინტენდატოების წარმომადგენელთა კრებამ შეიმუშავა სარეფორმო წესები, პროექტით კორპუსის ინტენდატებს მიეცემათ მეტი უფლებანი კონტროლისა.

როგორ აკეთებს საქმეს ბიუროკრატია

ამას წინად ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგეობის იურის-კონსულტად ნამყოფმა ბ-ნმა ეჯუბოვმა საგულდაგულო მოხსენება წარუდგინა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს. ბ-ნმა ეჯუბოვმა აღნიშნა ზოგიერთი მოვლენა, რომელიც, სხვათა შორის, მიზეზად გახდა დასავლეთ საქართველოში გლეხთა მოძრაობისა. ავტორს 18 წლის სამსახურის დროს კარგად გაუცვნია ის დამოკიდებულება, რომელიც გლეხთა და სახელმწიფო მამულების გამგეთა შორის დამყარებულა და რომელმაც გლეხობა მოთმინებიდან გამოიყვანა.

არეულობამ სტიქიური ხასიათი მიიღო, —ამბობს მომხსენებელი. იგი მოისპობა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისი გამომწვევი მიზეზები გამოირკვევა და ხალხის კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილება დაკმაყოფილდება. მე 18 წელიწადი ვმსახურებდი სასამართლო საქმეების რწმუნებულად ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგეობასთან და დავრწმუნდი, რომ გლეხთა მოძრაობის გამომწვევი, სხვათა შორის, ამ გამგეობის მოღვაწეობაა. უკმაყოფილება აღნიშნულ დაწესებულებისადმი ორგვარია: ერთი ზოგადია და შეეხება ყველა მცხოვრებს, მეორე კერძო, ერთს უკმაყოფილებას სარჩულად ედება არა სამართლიანი მოქმედება სახელმწიფო მამულების გამგეობისა, მეორეს საზოგადო კანონების ნაკლულევანება. გამგეობის უფროსი ქუთაისის გუბერნიაში მოქმედებს, ვით მინისტრის უფლებებით აღჭურვილი და თავის პირად შეხედულებით და თვითნებობით სწყვეტს საქმეებს. მეტად ცუდად არის მოწყობილი მიწების გამიჯვნისა და სადაო საჩივრების განხილვის საქმე. ქუთაისის გუბერნიაში მთელის ადგილის სივრცე უდრის 1,973,055 დესეტინა, (გარდა სოხუმის ოლქისა, სადაც 769,459 დესეტინა, და ბათუმისა—651,537 დესეტინაა). ამოდენა ადგილებიდან 1869 წლიდან 1904 წლამდე, ე. ი. 35 წლის განმავლობაში, შემოყორღნილ იქნა 900,000 დესეტინა და ისიც არ არის გამიჯნული და თითოეულ მონაწილის უფლება განსაზღვრული. სადაო მიწების საქმე ისეა დაყენებული, რომ კაცს ათის წლობით სჭირდება სასამართლოებში ხეტიალი. ხშირად ისედაც ღარიბი გლეხი და აზნაური მთელ თავის ქონებას ჰკარგავს სასამართლოებში სიარულით. ამ აზრის დასამტკიცებლად მომხსენებელს მრავალი მაგალითი მოჰყავს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ, თუ კი თვითეულ ამხანაგობას სრული ავტონომია ექმნება, კვლავ გაძლიერდება ბრძოლა ამხანაგობათა შორის სავაჭრო ასპარეზზედ. ზოგიერთი ამხანაგობანი გამდიდრდებიან, ზოგნი გაღარიბდებიან, გაჩნდება ხელ-ახლა პროლეტარიატი და ბურჟუა და სხ. მაგრამ ეს შეუძლებელი იქმნება. მიწას დიდი მიმზიდველი ძალა აქვს. კაცის ბუნების წინააღმდეგია ის გარემოება, რომ დღეს აურებელ ხალხს მოუყრია თავი ვიწრო ქალაქებში და სული ეხუთება მოწამლულ ჰაერით. კაცი ბუნების შვილია და უბედურია, როცა მიწას მოშორდება. კაცი უნდა იზრდებოდეს, შრომობდეს და კვდებოდეს მხოლოდ ბუნების წიაღში და არა მყრალ ქალაქებში. იმდენად უყვარს ხალხს ბუნება, რომ თანამედროვე კაპიტალისტურმა ცხოვრებამ ვერ შესძლო გლეხების მთლად გაპროლეტარება, აყრა მიწიდან თვით ევროპაშიაც-კი. გლეხი შესანიშნავის ჯიუტობით ჩასჭიდებია და არ შორდება თავის ერთ ნაჭერ მიწას; ქარხანაშიც რომ წავიდეს სამუშაოდ, ცხრა მთას იქითაც რომ გადავარდეს, მისი ფიქრი მაინც კიდევ მის პატარა ადგილ-მამულს თავს დასტრიალებს, მისი ნატვრა მაინც კიდევ შინ დაბრუნებაა. ეს არ არის უბრალო ჩამორჩენა, პატრიარქალური გრძნობა და ჩვეულება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ეს არის ღრმა სიყვარული ბუნებისა, სიკვდილამდის განუწყვეტელი კავშირი კაცსა და ბუნებას შორის.

და თუ კი საბრალო გლეხი ასე ეტრფის გაპროლეტარებას, ასეთის ჟინიანობით ჩასციებია თავის პატარა ადგილს, ამხანაგობას, ცხადია, არავითარი შიში არ მართებს ამ მხრივ. ამხანაგობის წევრი, ყოველს მხრით უზრუნველყოფილი და კმაყოფილი, თავის დღეში არ მიატოვებს სოფელს და არ გადავარდება ქალაქში ბოგანოდ, პროლეტარიად.

ამასთან ამხანაგობის გაკოტრება შეუძლებელი იქმნება. წევრთა თითქმის ყველა მოთხოვნილებას თვით ამხანაგობა დააკმაყოფილებს თავის საშუალებით. ამხანაგობას ექმნება ამისათვის საკმაო ძალა. ამხანაგობა გაიმეტებს გასასყიდად მხოლოდ ზედ-მეტ საქონელს, რომელიც გადურჩება შინაურ მოთხოვნილებას. ამხანაგობის მთელი ნაწარმოები სავაჭროდ არ გადაიქცევა. მაშასადამე, ამხანაგობა არ იქმნება სავაჭრო დაწესებულება. ამიტომ ვაჭრობა ვერ ჩაითრევს, ვერ შეარყევს, ვერ გააკოტრებს ამხანაგობას.

თუ რომელსამე ამხანაგობას განსაცდელი დაატყდა თავს, ხელს გაუმართავს, ფეხზე წამოაყენებს ამხანაგობათა კავშირი.

აქ იბადება ერთი საკითხი. ამხანაგობანი გამრავლდებიან, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ბოლოს და ბოლოს დიდი უსწორ-მასწორობა ჩამოვარდება ადგილების განაწილების მხრივ. სასურველი იქმნება თუ არა ხელ-ახალი გაყოფა ადგილებისა ამხანაგობათა შორის დრო გამოშვებით, მაგალითად, ყოველ ოცდახუთ, ოცდაათ ან ორმოცდაათ წელს? ამის პასუხად გეტყვით: ჯერ ერთი, ნიჭი გამრავლებისა თვითეულ ათას მოსახლეს ისეთივე ექნება, როგორც ყოველ სხვა ათას მოსახლეს; განსხვავება ამ მხრივ მათ შორის ფრიად მცირე და უმნიშვნელო იქმნება. ამას გარდა, როგორც უსწორ-მასწორობაც უნდა ჩამოვარდეს, ადგილების ხელ-ახალი გაყოფა მაინც შეუწყნარებელი იქმნება, რადგან ამით თვითეულ ამხანაგობას მთლად ჩაეფუშება თავისი სამოსახლო გეგმა და განზრახვა და მოუვა ტყუილ-უბრალოდ აურებელი ზარალი. ყოველი გეგმა ოჯახობისა შეთანხმებულია ადგილის სიდიდესთან. და ყოველ ნაჭერ ადგილზე მაშინ გამეტებს ამხანაგობა ხარჯსა და შრომას, თუ კი დარწმუნებული იქმნება, რომ ეს ადგილი ხელიდან არ გამოეცლება. მცირე მამულს შეიძლება იმდენი თანხა და შრომა მოახმაროს კაცმა, რამდენიც დიდ მამულს. ის ამხანაგობა, რომელსაც შედარებით უფრო მცირე მამული ექნება, იმდენსავე შრომას მოახმარს თავის მამულს, რამდენსაც სხვა ამხანაგობა თავის დიდ მამულს. მაშასადამე მცირე-მამულიან ამხანაგობის მიწა უკეთ იქმნება დამუშავებული და უფრო მოსავლიანი იქმნება, ვიდრე დიდ-მამულიან ამხანაგობის თანასწორი ზომის მიწისა. ამიტომ დიდი უსამართლობა იქმნება, რომ მეორე ამხანაგობას ჩამოვართვათ მიწის ნაწილი შორეულ ამხანაგობის სასარგებლოდ.

სადაც კულტურა და განათლება მიდის წინ, იქ მიწის რაოდენობას არა აქვს მეტი მნიშვნელობა, ვიდრე სამეურნეო გაუმჯობესებას და ტექნიკას. თვითეული ამხანაგობა, რაც უფრო გამრავლდება, მით უფრო განავითარებს მიწის დამუშავების წესს, ტეხნიკას, მით მეტ მოსავალს მოიყვანს იმავე მიწაზე. ხსნა მხოლოდ ამ მხრივ არის. ტეხნიკა და მეცნიერება, აი საშუალება მიწის მოსავლის განუსაზღვრელ გამრავლებისა.

მეცნიერებისა და ტეხნიკის განვითარების მხრივ კი ძლიერ დაეხმარება ამხანაგობებს კავშირი მაღალ სასწავლებლების დაარსებით. რის გაკეთებასაც ვერ შესძლებენ კერძო ამხანაგობანი, მას გააკეთებს ამხანაგობათა კავშირი.

ამგვარად დაცული იქმნება თანასწორად პრინციპი თვითმმართველობისა და პრინციპი თანამშრომლობისა. კავშირი ხელს არ შეუშლის ამხანაგობათა თავისუფალ განვითარებას. თავისუფლება მოქმედებისა და ინიციატივისა ამხანაგობის საოჯახო ფარგალში ხელშეუხებელი იქმნება. კავშირი არ შებოჭავს ამხანაგობის მოქმედებას, არ შეხუთავს ამხანაგობის სულს. მთავარი საოჯახო სარბიელი ამხანაგობათა ხელში იქმნება. კავშირი იქმნება არა ბატონი, არამედ მხოლოდ დამხმარებელი, მოსამსახურე ამხანაგობათა. მონობა შეუძლებელი იქმნება.

ამგვარად ჩვენი შორეული საზოგადო იდეალი ძირიანად განსხვავდება ჩვენებურ „დასელთა“ იდეალისაგან. „დასელები“ უფრო ბიუროკრატები არიან, ვიდრე თვით ახლანდელი ბიუროკრატები. „დასელებს“ უნდათ მთელი ქვეყანა ერთს განუყოფელს ოჯახს წარმოადგენდეს და ამ უზარ-მაზარ ოჯახის საქმეებს განაგებდეს ერთი ცენტრალური დაწესებულება, პარლამენტი. ამ დაწესებულების გადაწყვეტილებანი და ბრძანებანი უნდა აასრულოს ყოველმა კაცმა და ყოველმა საზოგადოებამ ყურმოჭრილ მონასავით. უნდა მოსპონ ყოველივე ინიციატივა, ძირიანად აღმოფხვრან თავისუფლება და დამოუკიდებლობა! „დასელებს“ უნდათ შეხუთონ ადამიანის თავისუფალი მიდრეკილება, დაამყარონ ქვეყანად ისეთი მონობა, რომლის უარესიც ჯერ არ ყოფილა და ამას ქადაგებენ ხალხის სახელით! დაურიდებლად გაიძახიან, ავტონომია, თვით-მმართველობა მავნებელია ხალხისთვისაო! გვიკიჟინებენ, ვითომ ჩვენ, ავტონომიის მომხრეები, ხალხს ვატყუებთ! თვით ხალხი უარ-ჰყოფს ავტონომიასო, ბრძანებენ „დასელები“. მერე რა არის აქ გასახარი! ვიტყვი კი, რომ „დასელთა“ სიხარული ნაადრევია, და ხალხი ცენტრალიზმს უფრო უარ-ჰყოფს, ვიდრე ავტონომიას. ვინც დაუკვირდა უკანასკნელ მოძრაობის სულსა და შინაარსს, დამემოწმება, რომ არა ვსცდები. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ვინც თვითმმართველობის და საზოგადოდ, ავტონომიის წინააღმდეგ იმოქმედებს, ის ახლო მომავალში ხალხის ნდობას დაჰკარგავს. ხალხისთვის თავისუფლებაა საჭირო და არა სხვის უღელ ქვეშ ყოფნა.

საჭიროა ახალგაზრდობამ წარიმძღვაროს თავის მოღვაწეობაში „კრიტიკა“ და გაარჩიოს, გაჩხრიკოს ყოველ მხრივ თვითეული მოძღვრება; იგი არ უნდა მიემხროს არც ერთ მიმართულებას მანამდე, სანამ საკუთარის კრიტიკით არ განიხილავს. მიმართულება, შეთვისებულ-შესისხლ-ხორცებული კრიტიკის დაუხმარებლად ფანატიზმია, ეს საშინელი მტერი კეთილმოქმედებისა...

ვ. წერეთელი

დიდ გაჭირვებაშია ხალხი ტყის საქმის მოუწყობლობისა გამო. უტყეოდ ადგილობრივ კაცს ცხოვრება არ შეუძლიან, რადგან სახლიდან დაწყებული ყველაფერს ხისას აკეთებს. კეთილ მდგომარეობა მცხოვრებთა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უზრუნველია იგი ხე-ტყით. ამ მხრით ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი აუტანელ მდგომარეობაში არიან. მიზეზი ადგილობრივი გამგეობაა. თითქმის ყველა ტყე სადაოა, მაშასადამე, დავის გათავებამდე ხაზინაც არის ტყის მონაწილე. ტყეების ნამდვილი პატრონნი „ლესნიჩები" არიან, ამათ თვითნებობაზეა დამოკიდებული მცხოვრებთა კეთილ-დღეობა. რაჭის მაზრაში თავად წულუკიძეებს, აზნაურ კანდელაკებს, ჯანელიძეებს და სხვებს აქვთ 8764 დესეტინა მთა ნიკორწმინდაში. 1892 წელს, განსვენებულ გამრეკელის დროს, ამ ტყის გაყოფის საქმე მოწესრიგდა და ამისათვის ადგილობრივ რწმუნებული გაიგზავნა. გაყოფა არ განხორციელდა, რადგან მონაწილენი არ გამოცხადდნენ. გავიდა 2—3 წელიწადი, გამრეკელი გადაიყვანეს ტფილისის გუბერნიაში და ახალ გამგის დანიშვნასთან ერთად ახალმა სიომ დაჰბერა. დაიწყო მიწების გამიჯვნა და ამ ხნის განმავლობაში „ლესნიჩმა" ლეინევიჩმა თავის სურვილით აუკრძალა მონაწილეთ ტყის სარგებლობა. მცხოვრებთ თავიანთ ტყიდან ფულით უბრალო შეშაც ველარ გამოჰქონდათ. ამ ჟამად მონაწილენი თავიანთ ტყიდან საჭირო მასალას იპარავენ, როცა ამას ვერ მოახერხებენ ხოლმე, ტყიბულიდან, 40 ვერსტის მანძილიდან, ეზიდებიან ხე-ტყეს. ასეთსავე მდგომარეობაშია ჩოლოქის მთა თავ. გურიელებისა, ნაკაშიძეებისა, და ბევრი სხვა მთა. სახელმწიფო მამულების გამგეობა და იმისი მოხელენი მტრულად ექცევიან ტყეების მონაწილეებს. სახელმწიფო მამულები ხაზინას მიღებული აქვს სამემკვიდრეო უფლებით. ზოგი საეკკლესიოა, მაგ. იმერეთისა, გურიისა, სამეგრელოსა და აფხაზეთის ეპარქიებისა; ზოგი მამული სამთავროების მფლობელთაგან დარჩა, ზოგი იმერეთის უკანასკნელ მეფის სოლომონისა, იმის მემკვიდრის კონსტანტინესი და დედოფლის ანნასია, ზოგიც ამ თავად-აზნაურობას ჩამოერთვა. რომელიც გურია-იმერეთში არეულობის შემდეგ სათათრეთში გადაიხვეწა. მამულების მისაღებ აქტებში მოხსენებულია რამდენი სახაზინო, საბატონო თუ სხვა გლეხი სცხოვრობდა იქ. მამულების ჩაბარების დროს, თუ საეკკლესიო გლეხი 30 კომლი იყო, ხოლო საბატონო 15, მაშინ მემამულეს უფლება ეძლეოდა ერთი მესამედი წაეღო. თუმცა სამინისტრომ დაამტკიცა ასეთი წესი ადგილების გაყოფისა, მაგრამ ამ ბოლო დროს მოხელეებმა კეთილ გზას გადაუხვიეს და ასეთი მამულები პირდაპირ ხაზინის საკუთრებად აღიარეს. მოხელენი ასეთ მოქმედების საბუთად ამბობენ, რომ მონაწილენი ტყით რამდენიმე ათი წელიწადია აღარ სარგებლობენ და უფლება დაჰკარგესო.

ამან და მრავალმა სხვამ მოთმინებიდან გამოიყვანა მცხოვრებნი, რომელთაც ყოველივე ნდობა დაჰკარგეს მთავრობის დაწესებულებებისა. ამასთან მოწინააღმდეგე მხარეთა საბუთის ქაღალდებს სახელმწიფო მამულების გამგენი, ზელენინი და შემდეგ ცნეგირევი, ცხრა-კლიტულში მალავდნენ და ვაი იმ მოხელეს, რომელიც ამ ქაღალდებს გამოჩხრეკდა და მოწინააღმდეგე პირს მიაწოდებდა. ამას უნდა დავუმატოთ თავგასული მოქმედება მოხელეებისა. კანცელარია ისე უდიერად და ულმერთოდ ექცეოდა მთხოვნელებს, რომ ერთის საათის საქმისათვის 100 და 200 ვერსის მანძილიდან მოსულ კაცს მთელი დღეები და კვირეები ეკარგებოდა ქუთაისში. თუ წარმოვიდგენთ ღარიბ ხალხის მდგომარეობას, ადვილად მივხვდებით, რა გაჭირვებაში უნდა ჩავარდნილიყო გლეხი-კაცი უბრალო ცნობის მიღების დროს.

12 წლის მეცადინეობისა და მიწერ-მოწერის შემდეგ გამოვიდა კანონი. ამ კანონის ძალით, შესაძლებელი გახდა მოიჯარადრეებს შეესყიდათ იჯარით აღებული სახელმწიფო მამულების პატარა ნაჭრები. კანონი მოკლედ და მკაფიოდ არის გამოთქმული, მაგრამ მოხელეებმა რაღაც ხრიკები გამოსძებნეს და კანონი ისეთ ბურუსში გახვიეს, რომ მიწების გაყიდვის საქმე მოხელის თვით-ნებობაზე დამოკიდებული გახდა. ისეთი ხრიკი იყო, მაგალითად, მიწების ხელმეორედ დაფასება. მოხელენი გამოსასყიდ მიწას აფასებდნენ ისე დიდად, რომ მყიდველი თავს ანებებდა. საიჯარო ფულს ხომ ულმერთოდ იღებდნენ. მაგ., ზედამხედველმა ლობანოვმა ზოგიერთს მოიჯარადრეს საიჯარო ფული გაუდიდა 5-ჯერ და 20-ჯერ მეტად. ზოგიერთი ზედამხედველი ხელშეკრულებას მოიჯარადრეებს უკანა რიცხვით უწერდა, რომ შემდეგ ტყავი გაეძრო.

დასასრულ მომხსენებელი ასწერს ბათუმის იმ მცხოვრებთა გაჭირვებას, რომელთაც მიხეილის ციხის საჭიროებათათვის ადგილები ჩამოერთვათ. უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, 1880 წელს ბათუმის მიდამოებსა და კინტრიშის ნაწილში ბევრი კერძო მამული გადავიდა სახაზინოდ. გავიდა მას შემდეგ 15 წელიწადი და მცხოვრებთ დღესაც არ მიუღიათ ჯეროვანი სასყიდელი. ესენი მუდამ თხოულობდნენ დაკმაყოფილებას, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. მიწების დათმობის საქმეს წინად სამხედრო უწყება აწარმოებდა. როცა ეს საქმე სახელმწიფო მამულების გამგეობის ხელში გადავიდა, ამ უკანასკნელმა 10 წლის განმავლობაში არც ერთს მთხოვნელს არ აუსრულა თხოვნა.

აი, ასე მოქმედებდა ბიუროკრატიის ის დაწესებულება, რომელსაც საქმე ჰქონდა მცხოვრებთა უღარიბეს და ყველაზე უფრო გაჭირვებულ კლასთან, გლეხობასთან!..

წერილები

დაბა სურამი. ჩვენსკენ დიდი მოსავლის ნიშნებია პურისა, ქერისა, შვრიისა. თუ წვიმები მოვიდა, ურწყავ მამულებში, სიმინდიც კარგი იქნება. ამ ვენახებს ცოტა ასხია, საცა ნამყენი არ არის. ძლიერ შეუწყვს ხელი აქაურებმა ნამყენ ვენახებს. სანოვაგის სიაფია. ძლივს ეღირსა ხალხი ყასბებისგან კარგ ხორცის გაყიდვას. სურამელებმაც გაიღვიძეს. დრო არ იყო თუ. დაბამ ჯერედ უარჰყო ბიუროკრატიის წარმომადგენელნი, მამასახლისი, სოფლის მოსამართლენი და სხვები და შესწყვიტეს მათთან ყოველივე კავშირი. შემდეგ ერთმანეთს შეჰფიცეს ქართველებმა, სომხებმა და ებრაელებმა. ამასთან აარჩიეს ცხრა კაცი, რომელთაც დაავალეს ჯერ-ჯერობით მოსპობა ქურდობის, ძარცვა-გლეჯის და სხვ. დიდი შრომა გასწია ამ ცხრა კაცმა. ავაზაკობა თითქმის მოისპო. თუმცა შარშანდელთან შედარებით ცოტა მოაგარაკეა აქ, მაგრამ სხვა აგარაკებს შორის უფრო მეტი ხალხია სურამში. სახლები ხომ ძლიერ იაფად დაქირავდა.

სურამის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი ძლიერ ცუდის თვალით უცქერიან ღარიბ თავად-აზნაურობას, რომელიც მუდამ გლეხივით ოფლსა ღვრიდა. მიზეზად თვით აზნაურნი თავად-აზნაურთა მილიციას ასახელებენ.- რაც ეს მილიცია შედგა, ცუდად გვიცქერიანო. დალის თემობაზე ჯერ აქეთ არ შერიგებულან. გლეხობა გაიძახის: ყელები რომ დაგვჭრათ, მაინც ერთ კოდზე მეტს ან მეათედზე მეტს არავის მივცემთო. **კრაზანა**

ს. გადიდი (რიონს გაღმა მხარე). 20 ივლისს ამ სოფლის ერთი მცხოვრები მუშაობდა მეზობლის სახლის მახლობლათ ყანაში. თურმე ამ ვაჟ-ბატონს განუზრახავს გულში მეზობლის ცოლთან საქმის დაჭერა და რადგან იცოდა ამ დღეს ქმარი სახლში არ იყო, მისულა სახლში, მაგრამ ქალი მძინარე დახვედრია, გაუღვიძებია და თანაც უთქვამს, ხმა არ ამოიღო, თორემ მოგკლავო. ქალი არ დანებებია და ყვირილი დაუწყია. ახლო-მახლო მეზობლები გამოქცეულან ამბის გასაგებად, მაგრამ ვაჟ-ბატონისათვის ეღარ მოუსწრიათ. მეორე დღეს ქალმა განაცხადა ახალს წრეებში ეს ამბავი. ამ საქმეს მთელმა სოფელმა მიაქცია ყურადღება. 21 ივლისს მოახდინეს კრება და დამნაშავეს ერთის თვით ბოიკოტი გადაუწყვიტეს. **გადიდელი**.

ბალთა (საქართველოს სამხედრო გზა). აქეთ ძარცვა-გლეჯა და კაცის კვლა არ ისპობა. თოთხმეტს ივლისს ბალთაში მცხოვრებს დიმიტრი ბუთხუზს, სოფლის განაპირას მინდორში, იმ დროს, როცა ღამე გუთნის ხარს აძოვებდა, დაეცნენ ქურდები, დაახალეს თოფი და სასიკვდილოდ დასჭრეს. დაჭრილი კავკავის სამკურნალოში წაიყვანეს. დიმიტრი ბუთხუზი ხიზნად სცხოვრობდა ბალთაში დუდაროვების მამულებზედ. მარტოხელი კაცი იყო და ცოლშვილი უპატრონოდ დარჩა.

ოცდაერთს ივლისსავე, საღამოთი, ბალთას და კავკავს შუა ულანოვის ბაღთან, დახვდნენ ბალთიდან უკან მიმავალ მეეტლეს და წაართვეს ცხენები. ცხენები თერგს გაღმა ქისტებისკენ გარეკეს. საზოგადოდ ამ ალაგას ძარცვა-გლეჯა ხშირად ხდება.

ოცდა ექვსს ივლისს კავკასიონის მთები ჩამოგვითოვლა. ამ დროს ჩამოთოვლის მომსწრენი არავინ არის აქეთ. ჩამოთოვლამ ერთბაშად ააცივა. მთის მცხოვრებნი ძრიელ დააღონა თოვლის მოსვლამ. შიშობენ, ვაი თუ გრილი შემოდგომა დაიჭიროს და მოსავალი აღარ შემოგვივიდესო. საზოგადოდ, წელს აქეთ მთებში ხეირიანი მოსავალი არ არის არც ქერისა და არც თივისა. **ქართველი ოსებში.**

სოფ. აბასთუმანი (გურია). 25 იანვარს ამა წლისა ჩვენ სოფელში დიდი ყრილობა მოხდა, რომელზედაც სოფელმა, სხვათა შორის, ერთხმად დაადგინა, მოსპოს დროს ტარება და უზომო ქეიფი მარიამობის დღესასწაულში, (15 აგვისტოს). წინააღმდეგი ამა განაჩენისა ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმად ოცდა-ხუთი მანეთი ადგილობრივ სკოლის სასარგებლოდ. ამ გარემოებას ვაცნობებთ ნათესავთა და მეგობართ გაზეთის საშუალებით და ვაუწყებთ, რომ „მარიამობას" სტუმრებს ვერ მივიღებთ. **პასიონ და ნესტორ ჭკუასელნი.**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

31 ივლისი

პორტ-სმუტი, 31 ივლისი. დღეს კონფერენციის სხდომა არ ყოფილა. რწმუნებულნი შეიკრიბებიან ორშაბათს, დილის ათის ნახევარ საათზე, რათა სჯა-ბაასი იქონიონ შაბათს გადადებულ საკითხზე; ეს საკითხი შეეხება იაპონიის ბატონობას კორეიაში. დღეს ვიტტემ ხელ-ახლა შეადგინა წინადადება პირველ პუნქტის შესახებ და კომურამ მიიღო იგი. იაპონიის მოთხოვნა ბრძოლის ნაყოფის არ გამოქვეყნების შესახებ მისთვის არა სასიკეთო კომენტარიებს იწვევს. ჟურნალისტთან მუსაიფის დროს, ვიტტემ აღნუსხა მიზეზი თუ რისთვის თანაუგრძნობს ამერიკა იაპონიას: ჯერ ერთი, იაპონიამ საბაბი მისცა იფიქრონ, რომ იგი ამ ომით იმდენად იცავს ამერიკის ინტერესებს, რამდენადაც თავის საკუთარს, მეორე, შემცდარია რუსეთი, რომ იაპონიასთან საკამათო საგანს საერთაშორისო ხასიათი არ მისცა, მესამე—ებრაელთა საკითხი, რომელმაც მოანდომებინა ებრაელებს, დაერღვიათ თანაგრძნობა რუსეთისადმი. ვიტტეს სიტყვით ჩქარა ამერიკის ჟურნალ-გაზეთებში იქნება გამოქვეყნებული სტატიები ამ საკითხების განსახილველად. მახლობელ დღეებში ამ საკითხების შესახებ სჯა-ბაასი ექნება ვიტტეს აქაურ გამოჩენილ ებრაელებთან. როცა ვიტტეს შეეკითხნენ დიდ ბრიტანეთთან შეთანხმებაზე, მან დასტურით უპასუხა. ურთიერთ წინასწარ რწმენას აღარ ექნება ადგილი, თუ ორივე ქვეყანა პატივისცემით მოეპყრობიან ერთმანეთს. როცა ჟურნალისტი შეეკითხა, შესაძლებელია თუ არა ასეთი შეთანხმება მოხდეს, სანამ რუსეთი მეგობრულ განწყობილებაშია გერმანიასთან, რომელსაც ხელ-საყრელად მიაჩნია იჭვიანობა სუფევდეს ინგლისსა და რუსეთს შორისო, ვიტტემ უპასუხა, ორივე ქვეყანა თავისუფალია თავიანთ მოქმედებებში, მაგრამ მათ შორის შეთანხმება შეუძლებელია, თუ ეს წინააღმდეგი იქნება რუსეთის მეომარ სახელმწიფოსათვისო; სხვაფრივ არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია მეგობრობა ინგლისსა და რუსეთს შორის, როცა უკანასკნელი იმავე დროს გერმანიის მოკავშირე იქნებაო.

ქრისტიანია, 31 ივლისი. საღამოს ათ საათამდე 129 ოლქში 51,103 ხმა მიიცა უნიის დარღვევისთვის, წინააღმდეგ 16-სა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 აგვისტო

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. რწმუნებულნი ხელ-ახლა შეიკრიბნენ სამს საათზე. ორის საათის შემდეგ ვიტტემ დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფეს. ზავის მომხრენი არ ჰკარგავენ იმედს. დღეს დილით ვიტტემ აცნობა კომურას პირობების პასუხი. კომურამ დაუყოვნებლივ გიპასუხებთო.

პეტერბურგი. 31 ივლისს ოფიციალური ცნობები არ მოსულა შორეულ-აღმოსავლეთიდან.

ნიუ-იორკი. ვიტტემ სთქვა გუშინ, რომ იაპონელები არ შეგვეკამათენ მიცემულ პასუხზეო. 30 ივლისის სხდომაზე, დილით, დაიწყეს ერთ 12 მოთხოვნებთაგანის განხილვა და 4 საათის შემდეგ მხოლოდ ნახევარი განიხილეს. თუ ასე ვიანგარიშეთ კონფერენცია 24 დღე გაგრძელდება. რუსეთის სურვილია საჯაროდ ცხადდებოდეს მოლაპარაკების მსვლელობა. მას არაფერი წინააღმდეგი არ აქვს იაპონელების პირობების გამოქვეყნებისა და, საზოგადოდ, ყველაფერის, რაც-კი კონფერენციას შეეხება. სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ საქმე მარტო რუსეთი და იაპონია-კი არაა, არამედ ისეთი საკითხი წყდება, რომელსაც შეუძლიან მსოფლიო ცეცხლი აანთოს და სისხლი დაღვაროს ბევრგანო.

ხარბინი. გაზეთებში დაბეჭდილია უკანა ჯარების უფროსის ბრძანება: ამ უკანასკნელ ხანებში საავადმყოფოებში ბევრია სალდათები მოჰყავთ, რომელთაგან 1200 კაცს სალოკი თითები აქვთ ხოლმე წავარდნილი მარჯვენა ხელებზე. რადგანაც ამნაირი ავადმყოფები თავისუფლდებიან და ამას გარდა, რადგანაც თოფის რკალს კარგად შეუძლიან ხოლმე დაიფაროს ეს თითი, ამიტომ ეჭვია, რომ ეს განგებ არის ჩადენილი, რათა სამშობლოში იქმნან გაგზავნილი. ამიტომ მთავარ სარდლის ბრძანებით ამისთანა ავადმყოფს-სალდათებს სამართალში მისცემენ სამშობლოში გაშვების მაგიერ.

მოჯი. იაპონიის ესკადრა ამ ჟამად ოხოტსკის ზღვასა და კამჩატკის ნაპირებთან მი-მოდის.

სოფია, 31 ივლისი. ილდიზში მკვლელობის მთავარი გამზრახველნი მუსულმანებია, რაც სტამბოლიდან მოსულ ცნობებითაც მტკიცდება, სადაც შეიხებს მიუღიათ „ფეტვა", ანუ რელიგიოზური გარდაწყვეტილება, რომლის ძალით სულთანი სიკვდილით ისჯება კანონიერების დარღვევისთვის. გამომძიებელ კომისიის აზრით ნამდვილი დამნაშავე ბელგიელი ჟორისია, რომელიც რამდენიმე დღის წინად იყო დატყვევებული. ამ ჟორისს, მის ცოლს და რუსის სომეხს რიპსს შვეიცარიიდან მოუტანიათ სტამბოლში ჯოჯოხეთის მანქანა. ჟორისის ცოლმა და რიპსმა თავს უშველეს, მაგრამ ხელთ-იგდეს მათი წერილები ჟენევიდან. სულთანი კმაყოფილია ნამდვილ დამნაშავეების აღმოჩენით.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპნიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 145. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტლის, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქროევისა. (30—18)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებისა ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის

საქონლისა წარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად

ტყავეულობა

რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—ნ.—60)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (80—23)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ველზბორდ ლოქში

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—13)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.